# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 1 აგვისტო 2008 №176 (3400) ფასი 50 თეთრი


# WIN GEORGIA

## და ვინ საქართველო დიორ ეტოსთვის



## დღეს ჩვენი ოხვრის სეზონი იწყება და დღესვე ფედერაციის ალმასკომია, რომელმაც ჩვენი ოცნების კოშკის არქიტექტორი უნდა დანიშნოს

ამ კვირაში ბევრი რამ მოხდა მნიშვნელოვანი ქართულ ფეხბურთში.

ოთხშაბათს თბილისს ესტუმრა არგენტინელი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი, რომელიც სახელმწიფოსა და ფეხბურთის მესვეურებს შეხვდა და მათი კეთილგანწყობაც დაიმსახურა.

იმავ საღამოს საქართველოს ჩემპიონი „დინამო“ უიმედოდ დამარცხდა ათენში „პანათინაიკოსთან“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე.

გუშინ „ვიტ ჯორჯიამ“ ტრნავულ ფრეს თბილისური გამარჯვება შემატა და უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა.

სამწუხაროდ, იგივე ვერ მოახერხა „ზესტაფონმა“, არადა, შანსი, პირველი თამაშიდან გამომდინარე, ვიტელებზე არანაკლები ჰქონდა.

დღევანდელი საფეხბურთო ამბები კი ასეთია:

უეფას თასის წილისყრა „ვიტ ჯორჯიას“ მომდევნო მეტოქეს არგუნებს;

საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალით შიდა სეზონი გაიხსნება;

ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი, უნდა ვივარაუდოთ, გაიზიარებს იმ კეთილგანწყობას, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ და ექტორ რაულ კუპერს საქართველოს ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელად დანიშნავს.

# უეფას თასი 2008-2009

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

# მახარაძემ თავი ძალიან ქართულად გაიმართლა



„ზესტაფონს“ ბექა გოცირიძის გოლი არ ეყო

ზესტაფონი. 31 ივლისი. 17 საათი. ცენტრალური. 4 000 მაყურებელი

## ზესტაფონი 1:2 დიორ ეტო

| | |
|---|---|
| 1:0 გოცირიძე (51), 1:1 ჟაკლი (52), 1:2 პაკოლიჩი (67) | |
| ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, უ. ლობჟანიძე, რ. ონიანი (სანტოსი 82), ფრიდოლინი, დაუშვილი, ვიეირა, ძარია (ნ. კვასხვაძე 60), ჩასემი (იონანიძე 71), ბ. გოცირიძე, გელაშვილი *სათადარიგონი:* ჭანტურია, გორგიაშვილი, მაკარიანი, შ. ლონლაძე მწვრთნელი: თემურ მახარაძე | დიორ ეტო: სტევანოვიჩი, ბანკი, პინტერი, ჟაკლი, ჟოში (კოვაჩი 56), ბიჩაკი, ბაიზატი (ზოლტანი 69), ტოკოდი, ნიკოლოვი (პაკოლიჩი 56), სუპიჩი, კოლტაი *სათადარიგონი:* ვარგა, ბრნოვიჩი, ვოლგი, კისი მწვრთნელი: შანდორ ედერვარი |
| გაფრთხილება: ლობჟანიძე (13), პინტერი (18), ჟოში (40), დაუშვილი (56), კოვაჩი (56), გელაშვილი (61), იონანიძე (73), პინტერი (79), ლობჟანიძე (90) | |
| გაძევება: პინტერი (79), ლობჟანიძე (90) | |
| მსაჯები: ა. კაკოსი; კ. დალასი, ს. ტრიფონასი; ი. მაზარაკოსი (ყველა საბერძნეთი) | |
| დელეგატი: მ. კასაბოვი (ბულგარეთი); დამკვირვებელი: კ. ბოპუნეკი (ჩეხეთი) | |



**ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან**

**12 წლის** და ერთი კვირის წინათ ზესტაფონმა პირველად უმასპინძლა უეფას თასის მატჩს. მაშინ „მარგვეთმა“ სტუმრად მოგებული 3:1-ის შემდეგ მალტურ „სლიემასთან“ შინ 0:3 წააგო და გათამაშებას ასე სამარცხვინოდ გამოეთიშა...

მოგეხსენებათ, „ზესტაფონმა“ პირველი შეხვედრა სტუმრად „დიორ ეტოსთან“ 1:1 დაასრულა და ზესტაფონშიც მომდევნო ეტაპზე გასვლის დიდი იმედი გაჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბილეთის ფასი ქართული საზომით საკმაოდ ძვირი იყო (7, 10 და 12 ლარი), სტადიონი გადაიჭედა.

უნგრელებმა მასპინძლებს თავიდანვე აგრძნობინეს, რომ ადვილად არაფერს დათმობდნენ და საწყისი 20 წუთი „დიორ ეტოს“ უპირატესობით მიმდინარეობდა. საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა, თუმც სტუმრები ბურთს კარგად აკონტროლებდნენ, ბევრს მოძრაობდნენ და პრესინგსაც მიმართავდნენ ხოლმე.

რამდენიმედღიანმა წვიმამ მოედანს თავისი დაღი დაასვა და ფეხბურთელებს ხშირად უცდებოდათ ფეხი.

თემურ მახარაძემ ნახევარდაცვის ცენტრში სამი ფეხბურთელი გაამწესა — მურთაზ დაუშვილი, ირაკლი ძარია და ერიკ რომეო ჩასემი, ოდნავ წინ ბექა გოცირიძე, თავდასხმაში კი ნიკა გელაშვილი.

ინერტულად მოთამაშე ბრაზილიელი ჟილვან ვიერა ტაიმის ბოლოს გამოცოცხლდა და ერთხელ კარშიც დაარტყა, თუმცა სიზუსტე დააკლდა.

მეორე ნახევარიც გუნდებმა იგივე შემადგენლობებით დაიწყეს და საწყისი რამდენიმე წუთი უკეთ „ზესტაფონი“ გამოიყურებოდა — გოლიც მალევე გაიტანეს.

51-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან ჟილვან ვიეირამ კუთხური ჩააწოდა, ბექა გოცირიძე ყველაზე მაღლა ახტა, მეკარესაც დაასწრო და... სტადიონი სიხარულისგან ლამის დაინგრა.

გოცირიძემ და მისმა თანაგუნდელებმა კარგა ხანს იზეიმეს. თუმცა, სამწუხაროდ, გაათამაშეს თუ არა



ბურთი უნგრელებმა, 30 წამში გოლი გაქვითეს — ტომაშ კოლტაიმ მარჯვნიდან ჩააწოდა, ცენტრალური მცველები, სევასტი თოდუა და ბორომო ფრიდოლინი შეცდნენ და ანტალ ჟაკლიმ თავით გაიტანა. ეს შოკის მომგვრელი იყო...

ყველაფერი ნულიდან დაიწყო. უნგრელთა მწვრთნელმა შანდორ ედერვარმა ორმაგი შეცვლა გააკეთა და სწორედ ამ ფეხბურთელებმა გამოაცხვეს მეორე გოლი — შემტევმა ზოლტან კოვაჩმა დავიდ პაკოლიჩს უპასა და 1:2.

„ზესტაფონს“ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად უკვე ორი გოლის გატანა სჭირდებოდა და ზურაბ იონანიძე გამოჩნდა მოედანზე. კოვაჩმა კი რამდენჯერმე ვერ ისარგებლა მცველების უხეში შეცდომებით. მას როინ კვასხვაძემ არ გაატანინა.

79-ე წუთზე ატილა პინტერმა მეორე ყვითელი მიიღო და „ზესტაფონმა“ რიცხობრივი უპირატესობა მიიღო, თუმცა დარჩენილ წუთებში ხეირიანი შეტევა არ გაუკეთებია.

მატჩის ბოლოს ფეხბურთელთა თანაფარდობა აღდგა — მეორე ყვითელი უჩა ლობჟანიძემ მიიღო...

### პრესკონფერენცია

*შანდორ ედერვარი:* „ძალიან გახარებული ვარ. პირველი თამაში ცუდად ჩავატარეთ, ამჯერად კი შედარებით მობილიზებულნი ვიყავით და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ. „ზესტაფონი“ სიმპათიური გუნდია, საოცრად ბრძოლისუნარიანი და ისლა დამრჩენია, საქართველოს ჩემპიონატში პირველ ადგილზე გასვლა ვუსურვო“.

*თემურ მახარაძე:* „მეორე წრეში გასვლის კარგი შანსი გვქონდა და სამწუხაროა, რომ ხელიდან გავუშვით. ძალიან დაძაბული თამაში იყო და მეტოქემ პირველ რიგში გამოცდილებით გვაჯობა. თუმცა ამასთან ერთად აშკარაა, რომ „დიორ ეტო“ „ზესტაფონზე“ მაღალი კლასის გუნდია. თავს ზემოთ ძალა არ არის. ჩვენი გუნდი ძირითადად 19-20 წლის ბიჭებითაა დაკომპლექტებული და მათ ამ ორი თამაშით უდიდესი გამოცდილება მიიღეს“.



# დემეტრაძემ არსენალთან დავა წააგო

**საქართველოს** ნაკრებისა და კიევის „არსენალის“ თავდამსხმელმა გიორგი დემეტრაძემ კლუბს უკრაინის ფეხბურთის ფედერაციაში უჩივლა, თუმცა სადისციპლინო კომიტეტმა მისი სარჩელი არ დააკმაყოფილა.

დემეტრაძე, ვისითაც „არსენალის“ პრეზიდენტი და მწვრთნელი უკმაყოფილოები არიან და ერთი ხანობა, გუნდიდან გაშვებასაც უპირებდნენ, კლუბს გასული სეზონის ხელფას-პრემიების გადახდას თხოვდა.

დისციპლინართა გადაწყვეტილებით, „არსენალი“ ქართველ ფეხბურთელთან არ ტყუის და, შესაბამისად, არც დავალიანება გააჩნია.

შეგახსენებთ, რომ დემეტრაძე „არსენალის“ სარეზერვო გუნდში ვარჯიშობს...

**კახა შალამბერიძე**

# ნეფთჩის სიტყვა ჭელიძეს



**აზერბაიჯანულ** ვებგვერდებზე ბაქოს „ნეფთჩის“ პრეზიდენტ აკპერ გაჯიევის ინტერვიუა გამოქვეყნებული და ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ ქართველ ფეხბურთელს ახსენებს.

გაჯიევი თავდასხმის პრობლემაზე საუბრობს და გიორგი ჭელიძეს გადასწვდა, სამწუხაროდ, არცთუ დადებით კონტექსტში.

„თავდასხმის პრობლემა გვაქვს და ამიტომ ავიყვანეთ იჯარით ჭელიძე, მან კი იმედები ვერ გაამართლა“ — ამბობს გაჯიევი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# მერებაშვილს ოპერაცია დასჭირდა

**თბილისის** „დინამოს“ შემტევმა ნახევარმცველმა გიორგი მერებაშვილმა მენისკის ოპერაცია გაიკეთა და დაახლოებით თვენახევარში შეუერთდება გუნდს.

„სარბიელის“ ტრადიციული გამოკითხვით, გასული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელს ტრავმა „ჯარერულ „რუნავიკთან“ ჩემპიონთა ლიგის თბილისურ მატჩში გაუმიზეზდა და მას შემდეგ ვერ ვარჯიშობდა.

როგორც შევიტყვეთ, ოპერაციამ კარგად ჩაიარა და იმედია, გიორგის სარეაბილიტაციო პერიოდიც წარმატებული გამოუვა.

**კახა შალამბერიძე**

# სკა და ორი ჩემპიონი

## იბერია ჩემპიონთა ლიგისთვის ემზადება

**5-6 აგვისტოს** 13 საათზე თბილისში ჩატარდება ორი ამხანაგური მატჩი, სადაც ერთმანეთს საქართველოს ფუტსალის ჩემპიონი „იბერია 2003“ და სომხეთის ჩემპიონი „პოლიტექნიკი“ შეხვდებიან.

მატჩები სპორტკომპლექს სკა-ში გაიმართება.

ცნობილია, რომ თამაშებს იმსაჯებენ ფიფას ქართველი არბიტრები, შოთა ქუხილავა და არსენ ნონიკაშვილი.

სომხებთან მატჩის შემდეგ „იბერია 2003“ უკრაინაში მიემგზავრება ხარკოვის საერთაშორისო ტურნირზე სათამაშოდ.

ცხადია, ეს ყველაფერი გუნდს მომზადებაში დაეხმარება და იმედია, 6-14 სექტემბერს გასამართ ჩემპიონთა ლიგის თამაშებშიც გამოადგება.

შეგახსენებთ: „იბერია“ 2003“-ის შემადგენლობაში ირიცხება ოთხი ბრაზილიელი და ექვსი ქართველი ფეხბურთელი.

**ნეკო ოსეფაიშვილი**

UEFA CUP

# უეფას თასი 2008-2009

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

# ვიტ ჯორჯია სამეორეეტაპოდ დაირაზმა

თბილისი. 31 ივლისი. 17.30 საათი. მიხეილ მესხი. 4 000 მაყურებელი

### ვიტ ჯორჯია 1:0 სპარტაკი

1:0 რაზმაძე (90)

| | |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, ბეჭვაია, ლომაია, ა. კვახაძე, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი (კვალინიძე 79), გ. მელქაძე, ლიპარტია (ბერიაშვილი 66), ვ. კვარაცხელია (მაისაშვილი 87) *სათადარიგონი:* მიქაბერიძე; ხურცილავა, ყველაშვილი, ღუჭაშვილი **მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე | **სპარტაკი:** ჰრდინა, პონჩაკი, დოლეჟაი, კოპაჩკა, ლ. პანცელი, დურიში (ფილიპოვიჩი 75), კოპუნეკი (პროშაზკა 65), ნიანგი, პრუშკა (გულდანი 46), კოჟუხი, იელენკოვიჩი *სათადარიგონი:* რიბანსკი; ჩიფერსკი, პერესი, პლავატოვიჩი **მწვრთნელი:** ვლადიმირ ვერმეზოვიჩი |

**გაფრთხილება:** მელქაძე (53), კოპუნეკი (60), ჯაფარიძე (73)

**მსაჯები:** ს. ტოდოროვი; ჯ. ჯორჯოვი, ჯ. ნიკოლოვი; რ. მირიანოვი (ყველა ბულგარეთი)

**დელეგატი:** დ. მიჰალაჩე (რუმინეთი); **დამკვირვებელი:** ნ. ლევნიკოვი (რუსეთი)



ლუკა რაზმაძის საგოლე დარტყმა

**ილია ნანობაშვილი**

**ნამატჩევს** „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელმა ნესტორ მუმლაძემ თქვა, დღეს ისე კარგად ვერ ვითამაშეთ, როგორც ტრნავაში, მაგრამ მოხარული ვარ, რომ შემდეგ ეტაპზე გავედითო.

ჩვენც მოხარულნი ვართ, თანაც ძალიან: ვიტელებმა უეფას თასზე პირველად გადალახეს ბარიერი და მუმლაძეს რომ არ ეთქვა, ისედაც ცხადი იყო — მისი შეგირდები გუშინდელის მსგავსი თამაშით ტრნავადან ფრეს ვერ წამოიღებდნენ.

კი, მასპინძლები არაფერში ჩამორჩებოდნენ სტუმრებს, იქით სჯობდნენ კიდეც, მაგრამ ბევრი იყო ელემენტარული შეცდომები გინდ პასებში, გინდ გადაწყვეტილების მიღებისას, დაბალი იყო ტემპიც. თუმც ყველაფერი ეს ტრნაველების ბრალი უფროა. მათ უნდოდათ მოგება, თორემ „ვიტ ჯორჯია“ ლუკა რაზმაძის გატანილის გარეშეც გადიოდა სამშვიდობოს.

და დაიჩივლებენ კი „თეთრი ანგელოზები“ ფორტუნაზე? ვერანაირად, რადგან მთელი 90 წუთის განმავლობაში ერთი ასპროცენტიანი მომენტიც არ ჰქონიათ, ორი — სამწუთიანი შტურმიც კი ვერ მოაწყვეს და აკი თქვა კიდეც მათმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვერმეზოვიჩმა, შანსი არ გვქონიაო...

ვერმეზოვიჩმა ისიც თქვა, ჩაკეტილი პირველი ტაიმის მერე თამაში გავხსენითო, მაგრამ ეს თუ გახსნა და შეტევებზე წასვლაა, მაშინ მართლა შეტევებს რაღა ჰქვია?! ვიტელები უხეშ შეცდომას თუ დაუშვებდნენ, თორემ ისე ტრნაველებს გოლის გამტანისა არაფერი ეტყობოდათ, ძალიან უფანტაზიოდ თამაშობდნენ.

„ვიტ ჯორჯიასაც“ ეტყობოდა, გასვლითი 2:2 ფსიქოლოგიურად შეტევებში წასვლისთვის ბორგავდა — როცა იცი, ფრეც ხელს გაძლევს და ერთი ბურთის გაშვება ძვირად დაგიჯდება, ძალაუნებურად ვერ მიდიხარ იერიშზე. ერთი სიტყვით, ფრთხილი თამაში ვიხილეთ, რომელიც, შესაძლოა, გალამაზებულიყო, თუ მე-6 წუთზე ვახტანგ კვარაცხელიას გოლი ჩაითვლებოდა — ვიტელთა ფორვარდმა მეკარესთან პირისპირ გასვლა გამოიყენა, მაგრამ თანამსაჯს საეჭვო თამაშგარის მაუწყებელი ალამი აეწია. მხოლოდ „მიხეილ მესხის“ ტაბლომ არ დაუჯერა თანამსაჯს და კარგა ხანს 1:0 ენთო.

მე-18 წუთზე კი მატჩის ყველაზე ლამაზი მომენტი ვნახეთ: ირაკლი კლიმიაშვილმა 20-25 მეტრიდან ჯვარედინს გაარტყა ბურთი.

მასპინძლები უკეთ თამაშობდნენ, მათი ტექნიკური უპირატესობა იგრძნობოდა, სტუმართაგან კი სენეგალელი მცველი ბუბაქარ ნიანგი გამოირჩეოდა. ეტყობოდა, ბურთთან მწყრალად იყო, რამდენჯერმე უბრალო ერთმეტრიანი პასი გაექცეოდა ხოლმე, მაგრამ ჯანით და სირბილით ანეიტრალებდა, დიდ სამუშაოს ასრულებდა. აკი, პირველად მან დააფრთხო ანგელოზები ვიტელთა კართან, როცა თავური აიცილა.

მეორე ნახევარი პირველის ალიკვალი იყო, თუ არ ჩავთვლით შეცდომების მომატებას. ორივე გუნდს დაღლა დაეტყო. ბოლო წუთებში კი ჩაიხუთა თამაში. ტრნაველები თუ შეტევაში მიდიოდნენ, ძალიან უფხოდ და თან, ზურგ აშიშვლებდნენ, რითაც ორჯერ შეეძლო ესარგებლა შეცვლაზე შესულ გიორგი ბერიაშვილს, მაგრამ ჯერ სუსტად დაარტყა, მერე კი უცნაური პასი გააკეთა.

და როცა მსაჯმა ცოტა გადაამლაშა და თამაშს 5 წუთი დაამატა, ვიტელებმა ყველანაირი ინტრიგა ჩაკლეს: გიორგი დათუნაიშვილმა გიორგი მელქაძეს გააყოლა კარგი პასი მარჯვენა ფლანგზე, ისიც შეიჭრა საჯარიმოში და ლუკა რაზმაძეს მიაწოდა, ვინაც 7-8 მეტრიდან ფეხით გაუტანა მიროსლავ ჰრდინას.

„ვიტ ჯორჯია“ ალალად გავიდა მეორე ეტაპზე და დღეს გავიგებთ, ვინ ელის მეორე ბარიერად.

## პრესკონფერენცია

*ვლადიმირ ვერმეზოვიჩი:* „ვიტ ჯორჯიას“ გამარჯვებას ვულოცავ, მეტოქეს ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს და ჩემი აზრით, მეორე ეტაპზე ნებისმიერ მეტოქეს დიდ წინააღმდეგობას გაუწევს.

...ჩემი ფეხბურთელები გავაფრთხილე, ძნელი მატჩი იქნება-მეთქი, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ“ ბევრ სათამაშო სიტუაციაში გვაჯობა. ანგარიში ისეთი იყო, შეტევაში დიდი ძალებით წასვლას გვაიძულებდა. ანგარიში ისეთი იყო, შეტევაში დიდი ძალებით წასვლას მოვერიდეთ. რადგან, ერთი ბურთი რომ გაგვეშვა, ორი უნდა გაგვეტანა, „ვიტ ჯორჯიამ“ საბოლოოდ მაინც ისარგებლა კონტრშეტევით.

*ნესტორ მუმლაძე:* შედეგით გახარებული ვარ, თამაშით კი... ტრნავაში უკეთ გამოვიყურებოდით. ჩაკეტილი თამაში გამოვიდა, ირაკლი კლიმიაშვილმა ფეხი იტკინა, თან დაიღალა და ამიტომაც შევცვალე. რაც შეეხება თავდამსხმელის შეძენას, „ვიტ ჯორჯიას“ საკუთარი ფარმ-კლუბიდან აჰყავს ფეხბურთელები და მერწმუნეთ, ახალგაზრდებს შორის კარგი ფორვარდებიც არიან.



გიორგი მელქაძე სლოვაკურ დაცვაში შეიჭრა



ვიტელებს მოგება პეტარ სეგრტმაც მიულოცა





# კუპერ!

კუპერიო, ყველა ასე ამბობს გარშემო. ალმასკომს კი ველით, მაგრამ კუპერიო. გარკვეულიაო. უცხო და მოულოდნელი ფიგურაა ჩვენი ფეხბურთისთვის. შესაბამისად, ალბათ, საინტერესოც, სადავოც და ჩასაფიქრებელიც.

იმდენად უცხოა, რომ ხალხი ვერაფერს ამბობს. ან თუ ამბობს, უფრო პესიმისტურ რამეებს. ერთნი: დიდხანს ვერ გაძლებსო, მეორენი, სად მისი და სად ჩვენი ფეხბურთიო, მესამენი, რაღა ტრენერი ეგ არი, იყო ოღესღაცო, მეოთხენი, მაგას ფინკეს დანიშვნა ჯობდაო.

ამ უკანასკნელთა შორის, ნაკრების ბობოლა ფეხბურთელთა ხმაც მოისმის. ეს არც გასაკვირია, არც მოულოდნელი. უცნობს ყოველთვის ნაცნობი ჯობია, რთულს იოლი, ძნელს ადვილი.

განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა შეიძლება იგრძნო, რომ აუტკივარი თავი აგტკივდეს.

ახლა თვითონ კუპერი: ამ ბოლო დროს, საქართველოს ნაკრები, როგორღაც ჩემპიონთა თასის ფინალისტ მწვრთნელებზე სპეციალიზირდება. ტოპი გვყავდა, გრანტი გვინდოდა, ახლა, აგერ კუპერი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ განთქმული სპეციალისტები გვინდა. განთქმული და მაგარი. კუპერი, „ინტერიდან" მოყოლებული, სულ კრიზისულ ადგილებში მუშაობს. ახლა საერთოდაც უმუშევარია. „პარმამ" სერიის ბოლო ტურის წინ დაითხოვა. მისი ფეხბურთი, კარგა ხანია, საერთაშორისო ტელევიზორებში არ გამოჩენილა, მაგრამ რაც მახსოვს, ის იყო, რასაც საქართველოს ნაკრები ვერასდროს განახორციელებს. ვერც სულით და ვერც კლასით.

თუმცა, კუპერი ძალიან კვალიფიციურია. და არ მგონია, რაიმე წინასწარგანზრახულით მოვიდეს. ის ძალიან კვალიფიციურია. ჩვენ, უბრალოდ, იმას ვწუხთ, რომ ადამიანად არ ვიცნობთ. კუპერი სულ კრიზისებში მუშაობდა ბოლო წლებში-მეთქი და ახლაც კრიზისში მოდის. ის მთელი ცხოვრება მცველი იყო, ბილარდოსაც ჰყავდა თავის დროზე. ჩემი ანგარიშით, უბრალო კაცი არ არის. საერთოდ არ არის უბრალო, გულღია, დამთმობი კაცი. დიდად არც კოჭის მგორებლობა ეტყობა და ვერც ფეხებზე დაკიდების უნარს ვატყობ. ასე, გარეგნულად, თორემ მე ის არსად მინახავს და არც რაიმე წამიკითხავს განსაკუთრებული.

ძალიან უცხოა და მოულოდნელი.

რაც ალბათ ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს ვითარებაში და რაც ალბათ არის კიდევ მისი გამოძებნის ერთ-ერთი მიზეზი, ის შინაური არ არის. არც ის ეტყობა დიდად, რომ გაშინაურება უყვარდეს. ტოპმიოლერი განაში წავიდა და აქაურზე მეტი ხელფასი მიიღო. იმასაც დავაკვირდეთ, იქ რას იზამს და მერე ამასაც დავაკვირდეთ, ეს რას იზამს აქ.

ამდენს ვლაპარაკობთ და ეგებ სულაც არ დანიშნონ.

თუმცა, მაინც მგონია, რომ კუპერი იქნება ჩვენი მწვრთნელი. რამდენხანს იქნება, ეს აღარ ვიცი. ძალიან რთული წარმოსადგენია. უარყოფითად კი არა. საერთოდ, სურათია რთული წარმოსადგენი, ძნელი დასანახი. მე ასეთი შეგრძნება მაქვს და სხვისი არ ვიცი.

ისევ საინტერესოა ეს საქართველოს ნაკრები. ორი თვით მაინც. მაგრები ვართ, ამ საქმეში... საინტერესოები ვართ?





# დღეიდან მაისამდე

**ქართული** საფეხბურთო სეზონი დღეს დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის" თასის გათამაშებით დაიწყება.

საწყის ეტაპზე, ანუ მეთექვსმეტედფინალში უმაღლესი ლიგის 8 და პირველი ლიგის 18 გუნდი დაწყვილდა და ჩვეულებრივ, ორმატჩიან ბრძოლებში გაარკვევენ იმ 13-ის ვინაობას, რომლებიც თასისთვის თამაშს გააგრძელებენ.

მერვედფინალიდან ნახსენებ 13 გუნდს ევროთასებზე მონაწილე თბილისის „დინამო", „ვიტ ჯორჯია" და „ზესტაფონი" დაემატებიან. პროფესიული ფეხბურთის ლიგის გადაწყვეტილებით, ისევე, როგორც ადრე, ევროთასებზე გასული გუნდები თასის პირველ ეტაპზე თამაშისგან თავისუფლები არიან.

შარშან და შარშანწინ თასის გათამაშების ფორმატი შეცვლილი იყო, მაშინ გუნდები ჯგუფებში იყვნენ გადანაწილებულნი და მეოთხედფინალამდე ასეთი სისტემით თამაშობდნენ. წლეულს კი საქართველოს თასი ძველი და ნაცადი ოლიმპიური სისტემით გათამაშდება და უწინდელივით გამარჯვებული სოლიდური თანხითაც დაჯილდოვდება.

წინა მოგებულის ვინაობასაც შეგახსენებთ — „ზესტაფონი", რომელიც თასს ფინალში ზედიზედ სამი უშედეგო ცდის შემდეგ დაეუფლა.

კობა ინასარიძე

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

### დასავლეთი

1 აგვისტო. 18 საათი

**მგლები — ბაია**

**ბორჯომი — სამტრედია**

**სპარტაკი — ოზურგეთი**

**ჭიათურა — ტორპედო 2008**

**მეშახტე — გურია**

**მერანი (მ) — ხობი**

2 აგვისტო. 18 საათი

**მესხეთი — კოლხეთი**

### აღმოსავლეთი

1 აგვისტო. 18 საათი

**ოლიმპი — პერეთი**

**ამერი — კახეთი**

**სიონი — ნორჩი დინამოელი**

**ლოკომოტივი — დუშეთი**

**მერანი (თბ) — ჩიხურა**

2 აგვისტო. 18 საათი

**გაგრა — თბილისი**

# ქართული ევროპა

**ჩემპიონთა** ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპზე სენსაციური მატჩები გამართეს ქართველთა გუნდებმა.

„კაუნასმა" იმდენი მოახერხა, რომ გლაზგოში „რეინჯერსთან" კარი მშრალად შეინახა — 0:0. ნუკრი მანჩხავასა და აკაკი ხუბუტიას გუნდი შინ მოგებას თუ მოახერხებს, სუპერსენსაციის ავტორი გახდება. ხუბუტიას არ უთამაშია, მანჩხავა კი 61-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

თემურ ქეცბაიას გაწვრთნილმა „ანორთოსისმა" კი ვენის „რაპიდთან" სერიოზული ფორა მიიღო — კუნძულელებმა, მეტოქეს გადაურბინეს — 3:0.

კლიმენტი წიტაიშვილმა სასტარტოში დაიწყო და ქეცბაიამ შესვენებაზე შეცვალა.

„დიდი მადლობა ფეხბურთელებს დიდებული თამაშისთვის, დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს. „რაპიდის" ბოლო ორი თამაში მქონდა ნანახი და ვიცოდი მათი სუსტი წერტილები, ფეხბურთელებმაც დავალება უნაკლოდ შეასრულეს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინ საპასუხო მატჩია. „რაპიდი" ძლიერი გუნდია და ავსტრიული მატჩისთვის მთელი სერიოზულობით უნდა მოვემზადოთ" — განაცხადა ნამატჩევს ქეცბაიამ.

ტურნირიდან გამოთიშვის ერთადერთი „ქართული კანდიდატი" მოლდოვური „შერიფია", რომელმაც შინ 0:1 წააგო ჩეხურ „სპარტასთან".

ვაჟა თარხნიშვილმა სრულად ითამაშა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# ლვინიანიძე დაბრუნდა

**მათე ლვინიანიძის** „მიუნხენ 1860"-მა ამხანაგურ მატჩში „კაიზერსლაუტერნს" 1:0 სძლია, ქართველმა ფეხბურთელმა კი ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშა.

ლვინიანიძე 46-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.



ბაჩა ზალამბერიძე

# მესი ცენტრფორვარდიც მაგარია



**ტოსკანური** „ფიორენტინაც“ და კატალონიური „ბარსელონაც“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადებიან და წინასასეზონო მოსამზადებელ პერიოდს აგრძელებენ. მათმა ამხანაგურმა შეხვედრამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

„არტემიო ფრანკიზე“ გამართული მატჩი მშვენივრად მოთამაშე „ბარსამ“ დამსახურებულად, 3:1 მოიგო. თუმცა ცუდად არც „იები“ გამოიყურებოდნენ.

ლიონელ მესი მინდორზე 69 წუთის განმავლობაში იყო, ვიდრე ხოსეპ გვარდიოლა მას ალექსანდრ გლებით შეცვლიდა და არგენტინელი ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე ჩინებულად ბურთაობდა. ფეხზეწამომდგარმა ქომაგებმა მესი ტაშით გააცილეს და ლეომაც მადლობა გადაუხადა იტალიელ ფანებს.

ფლორენციელთა მხრიდან გუნდის ახალწვეული ალბერტო ჯილარდინო ბევრს ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა — ერთხელ პენალტს ითხოვდა, ერთხელ სულ ცოტა დააკლდა მიზნის მიღწევამდე, ერთხელაც გოლი არ ჩაუთვალეს საკამათო ვითარებაში.

„ფიორენტინას“ მხრიდან უკეთესი შთაბეჭდილება შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა დატოვეს — ჯამპაოლო პაცინიმ, ნდიაიე პაპა-ვაიგომ, დანიელ პაბლო ოსვალდომ და სტევან იოვეტიჩმა. სხვათა შორის, ჩეზარე პრანდელიმ პაპა-ვაიგო კვლავ მცველად ათამაშა და ის მშვენივრადაც გამოიყურებოდა.

მესის გარდა, „ბარსას“ მხრიდან ვენესუელელი ხეფრენ სუარეს ბერმუდესი, ბოიან კრკიჩი და ხავი უნდა გამოვარჩიოთ. ითამაშეს გუნდის ახალწვეულებმაც — დანი ალვეშმა და სეიდუ კეიტამ.

სებასტიან ფრეიმ „ფიორენტინა“ რამდენჯერმე იხსნა, მაგრამ 29-ე წუთზე ვერაფერი გააწყო, როცა მესისა და პიკეს მშვენიერი კომბინაცია კარლეს პუიოლმა დააგვირგვინა. 48-ე წუთზე სხვაობა ხეფრენმა გაზარდა, რაშიც მას რიკოშეტი დაეხმარა.

69-ე წუთზე „ფიორენტინას“ არწაგების იმედი გაუჩნდა, პაცინიმ ოსვალდოს ბრწყინვალე თამაშის შედეგად გაიტანა. თუმცა 3 წუთში კრკიჩი ჩინებულად გაისარჯა და ფრეის ნაცვლად მოედანზე 1 წუთის შესული მარკო სტორარი დაამწუხრა.

„კმაყოფილი ვარ. პოზიციურად კარგად ვთამაშობდით და ბურთს მშვენივრად ვფლობდით, მიუხედავად იმისა, რომ მოედნის საფარი არცთუ კარგ მდგომარეობაში იყო და ეს პრობლემებს გვიქმნიდა. სერიოზული მეტოქე დავამარცხეთ. მესი მორალურად ძლიერი ფეხბურთელია და ცენტრალური თავდამსხმელის ამპლუაშიც საინტერესოდ გამოიყურებოდა“ — თქვა გვარდიოლამ.

მეტ-ნაკლებად კმაყოფილი დარჩა პრანდელიც. მან თქვა, მეორე ტაიმში არა გვიშავდაო და ახალგაზრდების თამაში მოეწონა. თუმცა განაცხადა, სამუშაო ძალიან ბევრი გვაქვსო. მან ისიც აღნიშნა, სკუდეტოს მოგების რესურსი არ გვაქვს და ფავორიტებში ტყუილად ნუ მოგვიხსენიებთო.

**გიორგი ძაძამაძე**

# მორატის დაცვა აფიქრებს

**„ინტერის“** მცველის მარკო მატერაცის ტრავმა არც მსუბუქი გამოდგა და არც ძალიან სერიოზული — გამოცდილ ფეხბურთელს დაახლოებით 3 კვირა მოუწევს უქმობა.

შეგახსენებთ, რომ „ინტერს“ სამი ცენტრალური მცველი — კრისტიან კივუ, ივან კორდობა და ვალტერ სამუელი — უკვე ტრავმირებული ჰყავდა, ახლა კი მათ მატერაციც შეუერთდა. ამის გამო, გამორიცხული არ არის, „ნერაძურიმ“ ახალი ფეხბურთელი დაიმატოს, რაზეც კლუბის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმაც ისაუბრა.

„ძალიან სამწუხარო და დასანანია, რომ მატერაციც დაშავდა. მალე მნიშვნელოვანი მატჩები გვაქვს, დაცვაში კი პრობლემებია. უახლოეს დღეებში გადავწყვეტთ, დავიმატოთ თუ არა ვინმე. რაც შეეხება ალბერტო აკვილანის, მას არ ვიყიდით. ნახევარდაცვაში და თავდასხმაში საკმარისად ძლიერები ვართ, თავსატეხს დაცვა გვიჩენს“ — თქვა მორატიმ.

ეს ყველაფერი ზრდის მატეო ფერარის „ინტერში“ გადასვლის შანსს. მოგეხსენებათ, მას „რომასთან“ კონტრაქტის ვადა ამ ზაფხულს ამოეწურა და ახლა თავისუფალი აგენტია. კიდევ ერთი კანდიდატი ბუქარესტის „სტიაუას“ 27 წლის მცველი მატეი რედოია.



მარკო მატერაცის ტრავმა „ინტერისთვის“ დიდი დანაკლისია

მორატი კი კმაყოფილი დარჩა „ნერაძურის“ „ტროფეო ტიმზე“ თამაშით. მიუხედავად იმისა, რომ 45-45 წუთიან დაპირისპირებებში „ინტერმა“ „იუვენტუსთან“ წააგო (0:1) და „მილანთანაც“ დამარცხდა პენალტების სერიაში უგოლო ტაიმის შემდეგ.

„ჩვენი თამაში ძალიან მომეწონა და ამ გუნდს ნამდვილად დიდი პოტენციალი აქვს. ადრიანომ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ისევე როგორც კლუბის ახალწვეულმა სულეი ალი მუნტარიმ. ვიცოდი, რომ ძლიერი მოთამაშე იყო და ამიტომაც დავიმატეთ, მაგრამ, შესაძლოა, მუნტარი იმაზე კარგია, ვიდრე გვეგონა“ — დასძინა მორატიმ.

**ქოქი ქანდელაკი**



# სოლდადო რეალს დაემშვიდობა

**მადრიდის „რეალში“ აღზრდილი რობერტო სოლდადო „ხეტაფეში“ გადავიდა. 23 წლის ფეხბურთელმა სამეფო კლუბში 8 წელი გაატარა და ახალგაზრდული გუნდის ბევრი წევრისთვის სამაგალითო მოთამაშე იყო. სოლდადო „რეალს“ გუნდის ოფიციალური ვებ-გვერდისთვის მიცემული მოკლე ინტერვიუთი გამოემშვიდობა**

**— დამშვიდობების დროა...**

— დიახ, ნამდვილად ასეა. „ხეტაფესთან“ საბოლოოდ შევთანხმდით და ეს ძალიან მიხარია. გასული სეზონი ჩემთვის ცუდი იყო, რადგან სათამაშო დრო არ მქონდა, მაგრამ ბევრი რამ ვისწავლე და ამით უაღრესად კმაყოფილი ვარ. „რეალის“ მოვალე ვარ. პირველ რიგში მისი ფანების, რომელთა მხრიდან ყოველთვის ვგრძნობდი დიდ მხარდაჭერას, იგივეს იტყვიან ახალგაზრდული გუნდიდან გადმოყვანილი სხვა ფეხბურთელებიც. საერთოდ, მადლობა ყველას, მათგან ბევრი რამ ვისწვლე და გავიზარდე, როგორც მოთამაშე და როგორც პიროვნება. ახლა დამწუხრებულიც ვარ და გახარებულიც, წასვლა რომ მიწევს. აქ მთელი რვა წელი გავატარე... მადრიდის „რეალი“ სამუდამოდ დარჩება ჩემს გულში.

**— ძალიან მოტივირებული ჩანხართ...**

— როგორც ვთქვი, აქ რვა დაუვიწყარი წელი გავატარე და ბევრი რამ ვისწავლე. ჩემი ოჯახიც ბედნიერი იყო, როცა „რეალში“ მოთამაშეს მხედავდა, ეს ყოველთვის ჩემი ოცნება გახლდათ. ახლა კი „ხეტაფეში“ ახალი გამოწვევა მელის. იმედია, იქ კიდევ ვისწავლი. თავდაუზოგავად ვიმუშავებ და ვეცდები, გუნდს სარგებელი მოვუტანო.

**— „ხეტაფეს“ ბრწყინვალე, ამბიციური პროექტი აქვს.**

— მადლობას ვუხდი „ხეტაფეს“ იმისთვის, რომ ჩემდამი ასეთი ინტერესი გამოავლინდა და ნდობა გამომიცხადა. მადლობა პირადად კლუბის პრეზიდენტ ანხელ ტორესს, რომელმაც გადაწყვიტა ჩემი შეძენა, სამაგიეროდ, ვეცდები რაც შეიძლება მეტი გოლი გავიტანო.

**— ახალგაზრდული გუნდის წევრებისთვის, წლების განმავლობაში სამაგალითო იყავით...**

— ახალგაზრდული გუნდის ყველა წევრი ოცნებობს ძირითად კლუბში თამაშზე, ეს ბუნებრივია. მე გამიმართლა, ოცნება ავიხდინე, მიუხედავად იმისა, რომ დიდი სათამაშო დრო არ მეძლეოდა. ახლა 23 წლის ვარ და მინდა, რაც შეიძლება მეტი ვითამაშო და ნაკრებში ადგილი დავიმსახურო. „რეალში“ ამის გაკეთება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

**— რას ეტყოდი ახალგაზრდული გუნდის ფეხბურთელებს?**

— მინდა ვუთხრა, რომ თავდაუზოგავად იშრომონ და იბრძოლონ იმისთვის, რათა ძირითად გუნდში მოხვდნენ და იქ ადგილი დაიმკვიდრონ. ეს ძალიან ძნელია, მაგრამ ახლო მომავალში „რეალის“ ძირითად შემადგენლობაში, შესაძლოა, კანტერას რამდენიმე მოთამაშე ვიხილოთ.

**— რა გითხრეს აწ უკვე ყოფილმა თანაგუნდელებმა, როცა დაემშვიდობეთ?**

— ცხადია, მეგობრებად დავრჩებით. მით უმეტეს, რომ მადრიდში ცხოვრებას ვაპირებ. უმთავრესი სწორედ ესაა, რომ მთელ კლუბთან კარგი ურთიერთობა და მეგობრობა შევინარჩუნო.

**— წარმატებებს გისურვებთ...**

— დიდი მადლობა.

## ენდის მყესი დაეჭიმა

**ინგლისური** „ევერტონის“ ნახევარმცველი ენდი ვან დერ მეიდე პრემიერლიგის სტარტს გამოტოვებს. ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა ტრავმა „ნოტინგემ ფორესტთან“ ამხანაგური შეხვედრისას მიიღო. 28 წლის ვან დერ მეიდეს მუხლქვეშა მყესი დაეჭიმა და რეაბილიტაციისთვის, სულ ცოტა, ერთი თვე დასჭირდება.

## ციმბირიდან ადრიატიკისკენ?

**რუსული** „ტომის“ მცველი ჰრვოე ვეიჩი ზამთარში, შესაძლოა, სამშობლოში დაბრუნდეს და სპლიტის „ჰაიდუკს“ შეუერთდეს. ხორვატს ციმბირელებთან კონტრაქტი მიმდინარე წლის ბოლოს ეწურება და „ჰაიდუკს“ იგი სრულიად უფასოდ ერგება. ხორვატიულ კლუბს, რომელშიც ვეიჩი ადრე გამოდიოდა, ფეხბურთელის გადმობირება სატრანსფერო სეზონისას სურდა, თუმცა ეს საკითხი წლის ბოლოსთვის გადაიდო.

## ძაკერონის რუსეთში ექაჩებიან

**ცნობილი** იტალიელი სპეციალისტი ალბერტო ძაკერონი რუსულ პრესაში სხვადასხვა რუსული კლუბის მომავალ მწვრთნელად სულ უფრო ხშირად განიხილება. თავიდან იტალიელი მოსკოვის ცსკა-სთან ასოცირდებოდა, თუმცა ძაკერონიმ „არმიელებთან“ ყველანაირი კავშირი კატეგორიულად უარყო, ახლა კი მისი სახელი უკვე რამენსკოეს „სატურნს“ დაუკავშირეს, რომელიც ახლახან მთავარმა მწვრთნელმა გაჯი გაჯიევმა მიატოვა.

ალბერტო ძაკერონი სხვადასხვა დროს „მილანს“, „ინტერს“, „ლაციოს“, „ტორინოსა“ და „უდინეზეს“ თავკაცობდა.

## რადა კოლერს არ უშვებს

**ჩეხეთის** ნაკრების ახალდანიშნული მთავარი მწვრთნელი პეტრ რადა ყველანაირად ცდილობს, იან კოლერი ნაკრებში დააბრუნოს. სამარის „კრილია სოვეტოვის“ თავდამსხმელმა ევრო 2008-ის შემდეგ სანაკრებო კარიერა დაასრულა, თუმცა, როგორც ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, საბოლოო უარი ჯერ არ უთქვამსო.

„უარი არ მითქვამს — თქვა 35 წლის ფორვარდმა — შეთანხმება სრულებით შესაძლებელია, თუ, მაგალითად, რომელიმე კონკრეტულ მატჩზე იქნება საუბარი“.

იან კოლერი ჩეხეთის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია — ეროვნულ გუნდში 90 მატჩი ჩაატარა და 55 გოლი შეაგდო.

## უიგანმა ფიგეროა დაიტოვა

**პრემიერლიგის** „უიგანმა“ ესპანური „დეპორტივოს“ მოთამაშე მეინორ ფიგეროა კიდევ 6 თვით დაიტოვა. ახალგაზრდა ფეხბურთელი გალისიური კლუბიდან „უიგანში“ მიმდინარე წლის იანვარში, იჯარით გადავიდა. ინგლისელები კი ექვსი თვის შემდეგ ფიგეიროს გამოსყიდვას შეეცდებიან. 18 წლის მცველმა გასულ სეზონში პრემიერლიგაში მხოლოდ ორი მატჩი ჩაატარა, თუმცა „უიგანის“ მთავარი მწვრთნელი სტივ ბრიუსი მიიჩნევს, რომ მომავალ სეზონში ფიგეროა უფრო მეტს ითამაშებს.

## პუნიალი მწყობრიდან გამოვიდა

**ესპანური** „ოსასუნას“ ნახევარმცველი პაჩი პუნიალი გაურკვეველი დროით გამოვიდა მწყობრიდან. ფეხბურთელს სეზონისწინა შეკრებისას მარჯვენა ბარძაყის კუნთი დაეჭიმა და მხოლოდ საფუძვლიანი სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ გახდება ცნობილი, როდის დაუბრუნდება პუნიალი მინდორს. ესპანეთის პრიმერადივიზიონის მორიგი სეზონი კი 31 აგვისტოს იწყება.

## ეთიოპიას იზოლაცია ემუქრება

**ეთიოპიის** ფეხბურთის ფედერაციას ფიფას წევრობა შეუჩერდა. მსოფლიოს მმართველმა საფეხბურთო ორგანიზაციამ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც იანვარში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის გადადგომის შემდეგ, ეთიოპიელებმა ფედერაციის შიგნით არსებული კონფლიქტი ვერაფრით მოაგვარეს. ამჟამინდელი პრეზიდენტის ოპოზიციამ გენერალურ ასამბლეაზე საკუთარი მოხელეები აარჩია, რომელთაც არც ფიფა ცნობს და არც აფრიკული ფეხბურთის კონფედერაცია.

თუ ეთიოპიელები თავიანთ შინაურ პრობლემებს 7 სექტემბრამდე ვერ მოაგვარებენ, მაშინ მათ ნაკრებს მაროკოსთან 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩზე ტექნიკური წაგება ჩაეთვლება.

## ანელკამ რობინიო შეაქო

**ლონდონის** „ჩელსის“ ფორვარდმა ნიკოლა ანელკამ განაცხადა, რომ „არისტოკრატთა“ რობინიოს რიგებში ხილვა გაუხარდებოდა: „რობინიო ძალიან სასარგებლო მოთამაშეა, რომელსაც ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია გამოსვლა. მოხარული ვიქნები, თუ ჩვენს კლუბში გადმოვა. ბრაზილიელის მოსვლით „ჩელსის“ შეტევის ხაზი უფრო სახიფათო გახდება. რობინიოს გოლების გატანის გარდა, იუველირული პასებიც ეხერხება“ — აქო და ადიდა „რეალის“ თავდამსხმელი ანელკამ.

**არჩილ ძოგახიძე**

# პასტორი ბუდას წინააღმდეგ



**ევანგელისტური** ეკლესიის მღვდელმა, პასტორმა მიხაელ ვერვაინმა მიუნხენის „ბაიერნის“ ბაზაზე ბუდას ქანდაკებების დადგმა გააპროტესტა.

ღია წერილში, რომელიც ღვთისმსახურმა იურგენ კლინსმანს გაუგზავნა, მიხაელ ვერვაინი მწვრთნელს სთხოვს, რომ ეგებ ჯვრისთვისაც გამონახოს ადგილი.

„ბაიერნის“ ქომაგი მღვდელი შეწუხებულა, როცა გაუგია, ბაზაზე ბუდას ქანდაკებების ჩამწკრივებას აპირებენო. მისი აზრით, ამან, შესაძლოა, გულშემატკივრებიც გააბრაზოს, რაკი უმეტესი მათგანი ქრისტიანია.

მიხაელ ვერვაინმა შეახსენა კლინსმანს, რომ ქრისტიან ფეხბურთელებს სპორტულ ფორმაზე ქრისტეს გამოსახვა ეკრძალებათ, ამ დროს კი მათ თავს ახვევენ ბუდიზმს, რაც კონფლიქტის წინაპირობას ქმნის.

გარდა ამისა, მღდელმა ბრძანა, რომ ფეხბურთელებს უფლება აქვთ, მათთვის მნიშვნელოვანი რელიგიური სიმბოლოები ატარონ. „მაგალითად, ჯვარი ეხმარება ქრისტიანებს მოგების ან წაგების ისე აღქმაში, რომ ხელს უწყობს მათ სულიერ განვითარებას“ — თქვა ვერვაინმა.

**გაგა ხუციშვილი**

# ბორიელო ორი თვე დაისვენებს



**მარკო ბორიელო** სექტემბრის ბოლომდე, ანუ დაახლოებით ორი თვე ვერ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ფორვარდი გასულ კვირაში ერთ-ერთი ვარჯიშისას დაშავდა. „მილანის“ თავდამსხმელმა მუხლის ტრავმა მიიღო.

ბორიელო ბელგიაში გადაფრინდა, ანტვერპენში პროფესორმა მარკ მარტენსმა გასინჯა და დიაგნოზიც დაუსვა. გუშინ მას ოპერაციაც გაუკეთეს.

მიუხედავად ამისა, იტალიური პრესის აზრით, საეჭვოა, „მილანმა“ ახალი თავდამსხმელი დაიმატოს. „როსონერი“ ახალგაზრდა ალბერტო პალოსკის შეინარჩუნებს, რომლის „ტორინოში“ გადასვლაც ბორიელოს ტრავმამდე ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო.

აქვე აღვნიშნოთ, რომ „მილანმა“ თავისი ვეტერანი კაპიტანი და ლეგენდა პაოლო მალდინი მოსკოვში გასამართი ტურნირის განაცხადში შეიყვანა. ასე რომ, ალესანდრო ნესტას არყოფნაში, „ლოკომოტივთან“, „სევილიასა“ და „ჩელსისთან“ ამხანაგურ მატჩებში 40 წლის მცველის მინდორზე გასვლას უნდა ველოდოთ.

**ძოძი ძანდძლაძი**

# რომა, სისე და ოკაკა ჩუკა




**ახალგაზრდა** სტეფანო ოკაკა ჩუკას „ბოლონიაში“ გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო. ჭაბუკი სერია A-ში დაბრუნებულ „როსობლუში“ ერთწლიანი იჯარით უნდა გადაბარგებულიყო და სათამაშო პრაქტიკა მიეღო, მაგრამ „გლადიატორთა“ მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ ტრანსფერს ვეტო დაადო.

ეტყობა, სპალეტი ახალ შენაძენს ელოდება. მოგეხსენებათ, „ჯალოროსი“ ფორვარდს ეძებს და თუ სათანადო კანდიდატს ვერ იპოვის, ეგებ სპალეტიმ აღარც გაუშვას ოკაკა ჩუკა და გუნდში დაიტოვოს.

„სტეფანო გუნდში კიდევ 15 დღე მაინც დარჩება. გუნდში რამდენიმე ტრავმირებული მოთამაშეა და შესაძლოა, ოკაკა ჩუკა სპალეტის გამოადგეს. მწვრთნელი მის მომავალზე უფრო გარკვევით დაახლოებით ორ კვირაში დაგველაპარაკება. სტეფანოს ძალიან გაუხარდა, როცა გაიგო, რომ „რომაში“ დარჩენის შანსი აქვს. თუმცა არც „ბოლონიას“ ვივიწყებთ — თუ საჭირო გახდა, ოკაკა ჩუკა სიამოვნებით გადავა „როსობლუში“ — თქვა ახალგაზრდა თავდამსხმელის აგენტმა დომენიკო სკოპელიტიმ.

„გლადიატორებს“ კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი დაუკავშირეს — ჯიბრილ სისე. ფრანგის აგენტი რანკო სტოიჩი ამბობს, რომ მისი კლიენტი სიამოვნებით გადავა „სტადიო ოლიმპიკოზე“.

„რომაში“ ჯიბრილის გადასვლის შანსი მართლაც არსებობს, მაგრამ კლუბები ერთმანეთს ოფიციალურად ჯერ არ დაკავშირებიან. ველოდები, როდის დამირეკავენ „ჯალოროსის“ წარმომადგენლები. სისე სიამოვნებით ითამაშებს „რომაში“, რადგან ეს ჩინებული კლუბია და ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს. ეს ბრწყინვალე შანსი იქნება ჯიბრილისთვის უმაღლეს დონეზე თავის შესაძლებლობების გამოვლენისთვის. რა ღირს სისე? ჯობია, ეს „მარსელს“ ჰკითხოთ, ამ საკითხში ჩარევა არ მინდა“ — განაცხადა სტოიჩმა.

ლუჩანო სპალეტი: „ნამდვილად გვჭირდება ერთი-ორი ახალი ფეხბურთელი, მაგრამ ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებას არ ვაპირებთ, ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. არ გვეჩქარება და ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ. სწორად მუშაობაა საჭირო, შესაფერის მომენტს ველოდებით“.

**ძოძი ძანდძლაძი**

# ძალიან მაგარი ბიჭების მეგობარი



რობი კინს (მარჯვნივ) ბავშვობის ოცნება აუხდა

**რობი კინი** სიამაყის გრძნობით აივსო, როცა პირველად მოირგო „ლივერპულის" მაისურა და გუნდთან ერთად ესპანეთში შეკრებაზე გაემგზავრა.

ირლანდიელმა ფორვარდმა „ვილიარეალთან" ამხანაგურ მატჩში ერთი ტაიმი ითამაშა და მისი ბავშვობის ოცნებაც — „ლივერპულის" ფეხბურთელი გამხდარიყო — ახდა.

ეს არ იყო იდეალური დებიუტი, რაკი გოლი ვერ გაიტანა, მარამ კინი ამბობს, რომ ესპანეთში „ლივერპულთან" ერთად ყოფნა თანაგუნდელებთან დამეგობრებაში დაეხმარება:

„ძალიან მაგარი ბიჭები არიან. ხელგაშლილები დამხვდნენ და გამიხარდა. ყოველთვის სასიამოვნოა, სადმე კარგად რომ მიგიღებენ და ალბათ მალე ერთმანეთს უკეთ გავიცნობთ.

„ლივერპულში" მოსვლიდან მეორე დღესვე ვიგრძენი, რომ გუნდს ვუშინაურდებოდი. დიდებულია. ამ ზაფხულს „ტოტენჰემში" სუსტ მეტოქეებთან თითო ტაიმი ვითამაშე, ახლა კი „ვილიარეალთან" რომ დამაყენა ბენიტესმა, თავი „ლივერპულის" სრულყოფილ წევრად ვიგრძენი.

ამ წამზე ბავშვობიდან ვოცნებობდი და ალბათ ხვდებით, რაც განვიცადე, როცა წითელი მაისურა ჩავიცვი. თამაშით ვტკბებოდი, მიუხედავად იმისა, რომ „ენფილდზე" არ ვიყავი. წარმომიდგენია, რა დამემართება „ენფილდზე" გასვლისას. „ვილიარეალთან" მატჩში მთლიანად ჩავეფელი თამაშში, რადგან ეს წამები მარადიულად არ გაგრძელდებოდა".

**ვაჟა ხუციშვილი**

# რონალდუ რეალში ასით მიდი



**ესპანური** „ასი" ამტკიცებს, რომ „რეალში" კრიშტიანუ რონალდუს გადასვლის გაწელილი ამბავი დასასრულს მიუახლოვდა. პორტუგალიელს უთქვამს, მალე „სამეფო კლუბში" გადავბრძანდებიო.

საქმე იქამდე მივიდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" არჩევანის საშუალება აღარ დარჩა. ფეხბურთელს ამ გუნდში თამაში არ უნდა. რონალდუ ულტიმატუმის წაყენებას აპირებს კლუბისთვის, რაკი ალექს ფერგიუსონს მისი გაშვება ცოცხალი თავით არ სურს.

ამჟამად პორტუგალიელი სამშობლოშია და ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციის კურსს უტარებენ. მომავალ კვირაში მანჩესტერში ჩასვლას და ფერგიუსონთან ულტიმატუმით მისვლას აპირებს.

„მხოლოდ იმისთვის მივემგზავრები ინგლისში, რათა „რეალში" გადასვლის სურვილზე ოფიციალურად განვაცხადო. „მანჩესტერთან" კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ერთ სიტყვასაც არ ვიტყვი" — უთქვამს რონალდუს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ოლეგერის სევდანარევი წერილი

**ეს არის** ადამიანი, რომელსაც ერთნი უსტვენდნენ, მეორენი კი „ბარსელონასა" და კატალონიური კლუბის იდეებთან აიგივებდნენ. ახლა იგი უკვე ამსტერდამის „აიაქსის" მცველია — ეს ოლეგერ პრესასია, ვინც „ბარსას" ოფიციალურ საიტზე, რონალდინიოს დარად, გამოსამშვიდობებელი წერილი დატოვა, რომლის შემოკლებულ ვარიანტსაც ქვემოთ გთავაზობთ.

„როცა „კამპ ნოუზე" მოვედი, ჩემი ყველაზე დიდი ოცნება რეალობად იქცა. ბავშვობიდან ვოცნებობდი „ბარსას" მასიურით თამაშზე და თავს გადაჭედილ „კამპ ნოუზე" წარმოვიდგენდი ხოლმე, როგორც ჩემპიონობისთვის მებრძოლს, ბრწყინვალე ფეხბურთელების გარემოცვაში. წარმოვიდგენდი, რომ გოლიც გამქონდა, ხანდახან ორიც და სამიც. ფაქტია, რომ ცხოვრებაში ყველაფერი შესაძლებელი არ არის, თუმცა ის, რაც რამდენიმე წლის წინ უბრალო სიზმარი იყო, 2002 წლის 13 ნოემბერს ცხადად იქცა — „ბარსელონაში" თამაში და წარმატებების მიღწევა.

უხმაუროდ მოვედი, სურვილით, გამეკეთებინა ყველაფერი, რათა ჩემი ოცნებები ბოლომდე ამეხდინა. ამავე დროს, ვაანალიზებდი ჩემს მინუსებს და პლუსებს. ამ გუნდის რიგებში თამაში ძალიან მინდოდა და ბოლომდე დახარჯვის სურვილი მკლავდა, რაკი კლუბისთვის სარგებლის მოტანა მინდოდა. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ ბრწყინვალე წლებში ჩემთან ერთად იყო. ასევე მადლობა ყველას, ვინც ცდილობდა ჩემს გაგებას, მიუხედავად იმისა, იზიარებდა თუ არა ჩემს აზრებს.

ამ წერილით ისევე ჩუმად გემშვიდობებით, როგორც მოვედი. ამსტერდამში ახალი თავგადასავალი მელის და იმედია, „აიაქსს" დავეხმარები.

ისღა თქმაღა დამრჩენია, რომ მე ვიქნები ერთ-ერთი იმ მილიონობით ადამიანს შორის, რომლებსაც ყოველთვის გაუხარდებათ ჩემი ოცნების გუნდის წარმატებები. დიდი მადლობა ყველაფრისთვის. გეხვევით, მარად თქვენი ოლეგერი".



ოლეგერი „ბარსას" გამოეთხოვა და „აიაქსს" შეუერთდა

**გიორგი ძაძაბაძე**

# ჰარიმ დინიარს თვალი დაადგა

**სულეი ალი მუნტარის** „ინტერში" გადაბარგების შემდეგ, „პორტსმუთის" ხელმძღვანელობა ნახევარმცველის ძიებაშია. „პომპეის" თავკაცი ჰარი რედნაპი ამჯერად მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელით, დინიარ ბილიალეტდინოვით დაინტერესდა. შესაძლოა, რედნაპი, ან ინგლისური კლუბის რომელიმე სელექციონერი მოსკოვში რუსეთის რკინიგზის თასზე დასასწრებად ჩავიდეს და 23 წლის დინიარის თამაშსაც იქ დააკვირდეს.

# ოვომოიელამ ვარჯიში დაიწყო

**„დორტმუნდის"** მცველმა პატრიკ ოვომოიელამ მუხლის ტრავმა მოირჩინა და გუნდთან ერთად ვარჯიშს შეუდგა. 28 წლის ფეხბურთელი, სავარაუდოდ, 9 აგვისტოს გამოვა მინდორზე, როცა დორტმუნდელები გერმანიის თასზე ესენის „როტ ვაისს" ეთამაშებიან.

# ინსმა პენანტს შეხედა

**ინგლისური** „ბლექბერნის" მწვრთნელი პოლ ინსი გუნდის გაძლიერებაზე ფიქრს აგრძელებს, ამისთვის მას დაახლოებით 15 მილიონი გირვაქნა აქვს. ინსს ახლა მიზანში ლივერპულელი ჯერმინ პენანტი ამოუღია. „დეილი მეილის" ცნობით, ტრანსფერი შესაძლოა უახლოეს დღეებში გაიჩარხოს. პენანტი დაახლოებით 6 მილიონ გირვანქად ფასდება.

# დეზებმა არშავინი უარყვეს

**„ტოტენჰემის"** ხელმძღვანელობამ განაცხადა, გვინდა გაცნობოთ, რომ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან" ანდრეი არშავინის ტრანსფერზე მოლაპარაკებები არასოდეს გვქონიაო. არადა, ცოტა ხნის წინ, „თაიმსმა" გაავრცელა ცნობა, „დეზებსა" და არშავის ყველაფერი შეთანხმებული აქვთ და ტრანსფერს წინ არაფერი უდგასო.

# მალბრანკი სანდერლენდში

**„სანდერლენდი"** „ტოტენჰემს" სტიდ მალბრანკის ტრანსფერზე შეუთანხმდა და ყველაფერი ოფიციალურად ალბათ უახლოეს დღეებში გაფორმდება. ფრანგი „დეზებში" 2006 წელს „ფულემიდან" გადავიდა და „ტოტენჰემის" რიგებში ჩატარებულ 96 მატჩში 12 გოლი გაიტანა.

# ჰამბურგს კლემანი უნდა

**გერმანულ** „ჰამბურგს" პსჟ-ს ნახევარმცველის ჟერემი კლემანის შეძენა უნდა და უახლოეს მომავალში ალბათ ოფიციალური წინადადებით მიმართავს პარიზელებს. თუმცა კლემანს არაერთხელ უთქვამს, პსჟ-ში მინდა დარჩენაო, ხოლო კლუბის მწვრთნელი პოლ ლე გუენი მას მნიშვნელოვან მოთამაშედ მიიჩნევს და გაყიდვას არ უპირებს. ასე რომ, „ჰამბურგის" შანსები დიდი არ არის.

# აკარდიმ კონტრაქტი გააახანგრძლივა

**გენუის** „სამპდორიამ" თავის მცველ პიეტრო აკარდისთან კონტრაქტი გააახანგრძლივა. ამიერიდან იგი 2012 წლის 30 ივნისამდე „ბლუჩერკატის" საკუთრებაა.

„კმაყოფილი ვარ, ბოლო სამ წელიწადში ჩემი თამაშით და ეს ახალი კონტრაქტი ალბათ ჩემი შრომის დაფასებაა" — თქვა 26 წლის მცველმა.

# კმაყოფილი ვენგერი

**ლონდონის** „არსენალის" მწვრთნელი არსენ ვენგერი თავისი ახალგაზრდა ფეხბურთელების თამაშით ძალიან კმაყოფილია. მან კომენტარი ოთხშაბათს „შტუტგარტთან" გამართული ამხანაგური მატჩის მერე გააკეთა, რომელიც „მეთოფეებმა" 3:1 მოიგეს.

„კარლოს ველა ედუარდო და სილვას ჰგავს. ნიკლას ბენდტნერი წინა სეზონიდანაც კარგად გვახსოვს, იგი ძლიერი ფორვარდია. სამირ ნასრიც კარგად ჩაჯდა გუნდში და მას ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ ჩვენ რიგებში წარმატებულად ითამაშოს" — აღნიშნა ფრანგმა სპეციალისტმა.

# გარმენდია დაშავდა

**მადრიდის** „ატლეტიკოს" ნახევარმცველმა ხოსებ გარმენდიამ ტრავმა მიიღო. მან მხარი დაიშავა და დაახლოებით ერთი თვე უქმობა მოუწევს. ექიმებს ეიმედებათ, რომ მის მწყობრში ჩაყენებას 31 აგვისტომდე ანუ პრიმერადივიზიონის დაწყებისთვის მოასწრებენ. 22 წლის გარმენდიამ წინა სეზონში 18 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

# ახალი სტადიონი

**ფიფას** პრეზიდენტი ზეპ ბლატერი დღეს ჩავიდა ვიეტნამში და ორდღიანი ვიზიტის ჟამს ჰანოეში ახალ სტადიონს გახსნის. ამაში შვეიცარიელს აზიური ქვეყნების ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი მოჰამედ ბილ ჰამამი დაეხმარება. ეს ინფორმაცია „რეიტერმა" ვიეტნამის ფეხბურთის ფედერაციაზე დაყრდნობით გაავრცელა.

**არჩილ ძოგახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზენიტს ვალბუენა მოუნდა

**სანკტ-პეტერბურგის** „ზენიტი“ „მარსელის“ ნახევარმცველით, მატიე ვალბუენათი დაინტერესდა. რუსები ფრანგის სანაცვლოდ 18 მილიონი ევროს ჩამოსვლას აპირებენ. სავარაუდოდ, „ზენიტი“ ვალბუენას ოთხლიან კონტრაქტს შესთავაზებს, რომლის მიხედვით ნახევარმცველი წელიწადში 3 მილიონ ევროს მიიღებს. ვალბუენა „მარსელთან“ ამჟამინდელი კონტრაქტით 2013 წლამდე არის დაკავშირებული.

## ბასონგს კაჭკაჭები ელიან

**ფრანგული** „მეცის“ მცველი სებასტიან ბასონგი „ნიუკასლში“ გადასვლასთან ახლოსაა. კლუბები ტრანსფერის ღირებულებაზე უკვე შეთანხმდნენ და ახლა ზოგიერთი ფორმალობაღა დარჩა მოსაგვარებელი.

ბასონგი „მეცის“ შემადგენლობაში 3 წლის განმავლობაში გამოდიოდა და 79 მატჩში ერთი გოლი გაიტანა.

## ბოლოსიანი დომენეკის ასისტენტი?

**საფრანგეთის** ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ალენ ბოლოსიანი, სავარაუდოდ, ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბს შეუერთდება. ფრანგული პრესის ცნობით, მხარეებს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია და შესაძლოა, ბოლოსიანი 20 აგვისტოს, შვედეთთან მატჩისას შეუდგეს მოვალეობების შესრულებას. რაც შეეხება თანამდებობას, ალენი მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ განიხილება.

## ინიესტა მესამე კაპიტანია

**„ბარსელონას“** ნახევარმცველი ანდრეს ინიესტა კლუბის მესამე კაპიტანი გახდება, კარლოს პუიოლის და ხავი ერნანდესის შემდეგ. აქამდე ამ როლს „მილანში“ ახლახან გადაბარგებული რონალდინიო ასრულებდა.

„მზად ვარ, ახალ როლში თავი გამოვცადო. კაპიტნობა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს“ — აღნიშნა ინიესტამ.

## ბორდოდან მონაკოში, მონაკოდან ლიონში...

**არგენტინელი** ნახევარმცველი ალეხანდრო ალონსო ფრანგული „ბორდოდან“ ასევე ფრანგულ „მონაკოში“ გადავიდა. 26 წლის ფეხბურთელმა მონეგასკებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ალონსომ „ბორდოს“ მაისურით 83 თამაში ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა.

ამავდროულად, „მონაკო“ ფორვარდმა ფრედერიკ პიკიონმა დატოვა, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონ „ლიონის“ რიგებში ჩაირიცხა. ლიონელებმა 29 წლის ფეხბურთელთან 4-წლიანი ხელშეკრულება დადეს, „მონაკოს“ კი მის სანაცვლოდ 4 მილიონი ევრო გადაუხადეს.

## და სილვა მუხლმა შეაწუხა

**კოტბუსის** „ენერგის“ მცველი ვრაგელ და სილვა მუხლის ტრავმის გამო სეზონის სტარტს გამოტოვებს. ოთხშაბათს ფეხბურთელს მარჯვენა მუხლზე ართროსკოპია ჩაუტარეს და ექიმთა პროგნოზით, მოედანზე დაბრუნებას, სულ ცოტა, ექვს კვირაში თუ შეძლებს. მუხლის ტკივილის გამო და სილვამ ორშაბათს გუნდის შეკრება დატოვა და კოტბუსში დაბრუნდა.

## კლიმოვიჩი ბარძაყს უჩივის

**გერმანული** „დორტმუნდის“ არგენტინელი ფორვარდი დიეგო კლიმოვიჩი, სავარაუდოდ, როტერდამის ტურნირს გამოტოვებს, რომელზეც დორტმუნდელთა გარდა, „ფეიენოორდი“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურიც“ გამოდიან. ფეხბურთელს ბარძაყის კუნთი დაეჭიმა და უახლოეს მომავალში სამედიცინო შემოწმების გავლა მოუწევს. მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა, რამდენი ხანი დასჭირდება მკურნალობას.

## ბენტლი გადაწყდა

**რუსი** სიმაღლეზე მხტომელი ანდრეი სილნოვი მიმდინარე სეზონის განმავლობაში თითქმის არც შამოჩენილა სამძლეოსნო სარბიელზე. ოლიმპიურ გუნდს რომ აკომპლექტებდნენ, რუსეთის მძლეოსნობის მამებს, მგონი, არც გახსენებიათ მისი არსებობა და თითო სახეობაში ერთი ქვეყნისვის დაშვებულ სამ მოსიმაღლეში არც შეიყვანეს, მაგრამ სილნოვის თოფმა გვიან გაისროლა და თან ისე დაიგრიალა, რომ ჩინოვნიკებმა გუნდში სასწრაფოდ გამონახეს მისი ადგილი.

რამდენიმე დღის წინ ლონდონში გამართულ სუპერ გრან პრიზე სილნოვმა 2,38 მეტრი აილო, სეზონის საყოველთაო რეკორდი გამოაცხო და რა გასაკვირია, რომ რუსმა ფუნქციონერებმა ასეთი კაცის შინ დატოვება არ ისურვეს. მაგრამ უსიამოვნო ისაა, რომ ვიღაც ხომ დაიჩაგრება მის გამო.

რუსეთის მრავალასეულიანი ოლიმპიური გუნდის სამძლეოსნო ასეულში სამი სიმაღლეზე მხტომელი კაცი იყო განაცხადში — იური რიბაკოვი, ვიაჩესლავ ვორონინი და ანდრეი ტერეშინი. ამათგან რიბაკოვს ადგილი გარანტირებული აქვს, ის პირველი ნომერია, სილნოვი კი ვორონინის ან ტერეშინის მაგივრად უნდა ჩაესვათ. სეზონის რეკორდის ავტორი რომ პეკინშიც გამოვა. ამას უკვე წყალი არ გაუვა, ხოლო ვის ამოაგდებენ მის გამო გუნდიდან, ამაზე ჯერაც გაცხოველებული სჯა-ბაასი მიდის.

„აქ, რა თქმა უნდა, ბევრს წინაღობას ვაწყდებით — ფრთხილად საუბრობს რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ვალენტინ ბილახნიჩევი — პრინციპი, რომელსაც ჩვენ სიტყვა-სიტყვით, ასოასო, წერტილ-წერტილ ვემყარებით, დაფუძნებულია ოლიმპიადაზე ოქროს მოპოვების სურვილზე. სილნოვი, ის სეზონის ლიდერია, მას კარგი ნამსახურეობის სია აქვს. მაგრამ აქ იქმნება ინტერესთა კონფლიქტი: რომელი უნდა ვამჯობინოთ? შესაძლო ოლიმპიური ჩემპიონი თუ დამსახურებული, მაგრამ მაინც სტატისტის როლის შემსრულებელი? ისპალკომს ჯერ არ გადაუწყვეტია, ვის და რაზე დაყრდნობით ამოაგდებენ გუნდიდან. ვორონინი თუ ტერეშინი? მძიმე სიტუაციაა, რაც იმის გამო შეიქმნა, რომ ჩვენ გვსურს ოლიმპიური ოქროს მოპოვების პოტენციალის მქონე სპორტსმენის ჩამატება. ჩვენ უფრო მეტად, გუნდზე ვფიქრობთ, ვიდრე ცალკეულ სპორტსმენზე.“

შემდეგ გაიმართა ამ ისპალკომის სხდომა, სადაც დელეგატთა 90 პროცენტი სილნოვის წაყვანის მომხრე აღმოჩნდა, როგორც ამას რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლეონიდ ტიაგაჩოვი ამბობს. ხოლო ვორონინ-ტერეშინის საკითხი კომერციულ ტურნირებზე გაირკვევა.

აი, ასე კეთდება საქმეები რუსეთში. და რა მოხდებოდა მსგავს სიტუაციაში ნორმალურ ქვეყნებში? იქ ეს სიტუაცია ალბათ არც შეიქმნებოდა, რადგან სილნოვის მსგავსი ზარმაცი სპორტსმენისთვის, ვისაც მთელი წელი ეძინა და მერე ერთხელ გაისროლა, ალბათ არ დაირღვეოდა წესი. ამერიკაში ასეთი რამე გამორიცხულია. აშშ-ს საუკეთესო მძლეოსანია ტაისონ გაი, 2007 წელს ის მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსან კაცადაც დაასახელეს. მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე 100 მეტრზეც ყველას გაასწრო და — 200-ზეც. აბა, ამას აქვს ოქროს მოპოვების შანსი და რუსულიდან რომ გადმოვკალკოთ, „პასლუშნოი სპისოკი“, მაგრამ მისი ბედი „ისპალკომებზე“ და ბიუროკრატიულ „ზასედანიებზე“ კი არა, უშუალოდ სპორტულ სარბიელზე წყდება. ამერიკის ჩემპიონატზე, სადაც ოლიმპიური გუნდი კომპლექტდებოდა, 200 მეტრის ნახევარფინალურ გარბენში გაი წაიქცა, და ფინალშიც ვერ მოხვდა, ცხადია, არც სამეულში გასულა და, შესაბამისად, ვერც ოლიმპიურ გუნდში შეხვდა ადგილი (200 მეტრზეა საუბარი, თორემ გაიმ 100 მეტრი კი მოიგო და პეკინშიც მხოლოდ ამ დისტანციაზე ირბენს).

თავი დავანებოთ ამერიკას, „სილნოვის საქმის“ მსგავსი სიტუაციები იამაიკაშიც კი აღარ იქმნება. ქვეყნის ჩემპიონატში ქალთა 100 მეტრის სამეულში ვერ მოხვდა სუპერსპრინტერი ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი და ვერც ოლიმპიური ადგილი შეხვდა. ერთხელ ბებერი მერლინ ოტის გამო ოლიმპიადის კარი რომ მიუჯახუნეს ერთ ნაკლებცნობილ მორბენალს, მას მერე მიხვდნენ იამაიკელები, რომ სახელიანი სპორტსმენის გამო ვინმეს, თუნდაც სტატისტის დაჩაგვრა მიქარვაა და მეტი არაფერი და მას მერე წერი წერად დადეს. არ ეთანხმებით ამ ნათქვამს, რომ ჯერ წესი უნდა იყოს წესი და მერე უნდა იყოს საქმე წესი?

**ირაკლი ფირაშვილი**

# რუსეთმა პეკინის წინ 6 ქალი დაკარგა

**პეკინის** ოლიმპიადის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე რუსთა სამძლეოსნო გუნდმა კიდევ ერთი მძლავრი დარტყმა განიცადა. ექვს რუს გოგონას, რომელთაგან ხუთმა გაიარა ოლიმპიური კვალიფიკაცია და პეკინშიც სავარაუდოდ მედლებისთვის უნდა ებრძოლა, დოპინგ-ანალიზის გაყალბებაში ედება ბრალი. მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციამ, ანუ იააფ-მა ყველა მათგანს დროებითი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, რის თაობაზეც გვაუწყებს რუსული ინტერნეტ-გამოცემა გაზეტა.რუ.

„გუშინ, 30 ივლისს, დაახლოებით დღის პირველ საათზე იააფისგან ელექტრონული წერილი მოგვივიდა, რომელშიც ნათქვამია, რომ იააფ-მა მიიღო მისი ეგიდით გამართული ტურნირებიდან, მათ შორის პეკინის თამაშებიდან, ჩვენი ექვსი მძლეოსნის დროებით ჩამოშორების გადაწყვეტილება. ესენი არიან ელენა სობოლევა, დარია პიშჩალნიკოვა, გულფია ხანაფეევა, ტატიანა ტომაშოვა, იულია ფომენკო და სვეტლანა ჩერკასოვა“ — ამბობს რუსეთის სამძლეოსნო ფედერაციის პრეზიდენტი ვალენტინ ბალახნიჩევი.

იააფ-მა რუსი ქალების საქმე მას შემდეგ აღძრა, რაც მათ დოპინგტესტებში დნმ-ის შეუსატყვისობა აღმოაჩინა. ანალიზები აღებულია 2007 წელს სეზონის დასაწყისში და დასასრულს, ანუ ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ აღებულ ტესტებში ამ სპორტსმენებს სხვადასხვა დნმ დაუფიქსირდათ, რაც ანალიზის შეცვლის საფუძვლიან ეჭვს იწვევს. დოპინგის ხმარებაში ბრალდებულებს ტესტებში არ აღმოაჩანდათ აკრძალული ნივთიერება, მაგრამ რაც აღმოაჩნდა, ისიც საკმარისია, რომ ოლიმპიადა გამოტოვონ.

არადა, რუსებს ხუთივეს იმედი ჰქონდათ — სობოლევა წლეულს საუკეთესო იყო 800 და 1500 მეტრზე სირბილში, პიშჩალენიკოვაც სეზონის რეკორდს ფლობდა ბადროს ტყორცნაში, ხანაფეევა (ექსრეკორდსმენი) მეხუთე იყო უროს ტყორცნაში, ტატიანა ტომაშოვა (ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი) და იულია ფომენკო კი 1500 მეტრზე წლეულს შესაბამისად მეორე და მეშვიდე შედეგებს ფლობდნენ.


ტატიანა ტომაშოვა



იულია ფომენკო



სვეტლანა ჩერკასოვა


ელენა სობოლევა



დარია პიშჩალნიკოვა


გულფია ხანაფეევა



**ბილის საერთაშორისო ტურნირი**
19 ივლისი — 1 აგვისტო

**IX ტური**

*ლენერ დომინგესი (კუბა) — მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) 0,5:0,5*
*ალექსანდრ ონიშჩუკი (აშშ) — ევგენი ალექსეევი (რუსეთი) 0:1*
*იანიკ პელეტიე (შვეიცარია) — ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) 0,5:0,5*

# დომინგესმა ადრეულად გაიფორმა

**ტურნირის** დასრულებამდე ერთი ტურით ადრე ლენერ დომინგესმა მდევრებთან ერთქულიანი სხვაობა შეინარჩუნა და საეჭვოა აწი ვინმე დაეწიოს. მეცხრე ტურში კუბელი მთავარ კონკურენტ მაგნუს კარლსენს დაუპირისპირდა და 52-ე სვლაზე დაუზავდა. მათ სიცილიური პარტია გაითამაშეს.

ნორვეგიელმა ფრთხილად დაიწყო შეხვედრა, მე-7 სვლაზე როქი გააკეთა და ფიგურები თავდაცვისთვის მოამზადა. ლენერმა ხელმწიფის ფლანგიდან პაიკებით დაარტყა მეტოქეს, ზონა მოუსუფთავა და მარჯვნიდან ლაზიერ-ეტლებით შეუტია. ვიკინგმა მტრის ზრახვები ადვილად ამოიცნო, მოერიშეებს საკუთარი ლაზიერ-მხედრით დაერია და ორი პაიკიც დასტყუა. დომინგესმა დედოფალი აამოქმედა, შავების მეფეს სვლები გაამეორებინა და 52-ე სვლაზე ზავზე დაიყოლია.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ლენერ დომინგესი | 6,5 |
| 2. | მაგნუს კარლსენი | 5,5 |
| 3. | ევგენი ალექსეევი | 5,5 |
| 4. | ეტიენ ბაკრო | 4,5 |
| 5. | ალექსანდრ ონიშჩუკი | 3,5 |
| 6. | იანიკ პელეტიე | 1,5 |



# ტონი-რაჰმანს გაუუქმეს

**ალბათ** გახსოვთ, არცთუ დიდი ხნის წინ ზემძიმე წონაში ექს-ჩემპიონების — ჯეიმს ტონისა და ჰასიმ რაჰმანის ბრძოლის შესახებ რომ გიამბეთ. თუმც ის ბრძოლა კი არა, ტრაგიკომედია უფრო იყო. მოგეხსენებათ, მაშინ მესამე რაუნდში მოკრივეები ერთმანეთს თავებით დაეტაკნენ, რის შემდეგაც რაჰმანს თვალის არიდან სისხლი წასკდა და ექიმმა ბრძოლის შეწყვეტა მოითხოვა. მაშინაც ვამბობდით, რომ წესით და რიგით, ასეთ შემთხვევაში გამარჯვებას არავის მიაკუთვნებენ ხოლმე. თუმც რატომღაც მსაჯებმა ტონის მხარი დაიჭირეს და მას ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაუთვალეს.

რაჰმანი შემდეგ იმუქრებოდა, აუცილებლად გავასაჩივრებო და ეტყობა, ამან გაამართლა კიდეც — კალიფორნიის შტატის სპორტულმა კომისიამ ხელახლა განიხილა ამ ბრძოლის პერიპეტიები, მსაჯთა გადაწყვეტილება უსამართლოდ ცნო და რაჰმანს დამარცხება მოუხსნა. ტონისა და მის შტაბს კომისიის გადაწყვეტილება არ გაუპროტესტებიათ.

**ქახა ლომაშვილი**

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1 № 1 საავტომობილო ზეთი

# მკვდრეთით აღმდგარი ჯოჯოხეთიდან



**ნიკლაუს ანდრეას ფონ ლაუდა**

ავსტრია

დაიბადა 1949 წლის 22 თებერვალს ვენაში

ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1971-1985 წლებში

მსოფლიოს სამგზის (1975, 1977, 1984) ჩემპიონი

1976 წლის ვიცე-ჩემპიონი

171 რბოლა, 25 მოგება, 54 პოდიუმი, 24 პოულ-პოზიცია, 24 უსწრაფესი წრე, 2 დიდი სლემი, 420,5 ქულა

გუნდები: „მარჩ-ფორდი“ (1971-72), **BRM** (1973), „ფერარი“ (1974-77), „ბრებემ-ალფა რომეო“ (1978-79), „მაკლარენ-პორშე“ (1982-85)

*დღეის სწორს, 22 წლის წინათ, „ნიურბურგრინგზე“ გერმანიის დიდი პრიზისთვის რბოლისას მოხდა ფორმულა 1-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ინციდენტი, როცა თავის „ფერარიში“ კინაღამ ცოცხლად ჩაიწვა ავსტრიელი მსოფლიოს ჩემპიონი ნიკი ლაუდა. მაგრამ იგი განწირული არ ყოფილა — ოთხი დღე კომაში მყოფი და თავ-ხელებ დამწვარი, სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა და თვენახევარში არა მხოლოდ დაუბრუნდა საჭეს, შემდგომში კიდევ ორჯერ დაიდგა „სამეფო რბოლების“ გვირგვინი. ლაუდა სამი უმაღლესი ტიტულით დიად ჩემპიონთაგანია, ხოლო გერმანული კოშმარიდან ფანტასტიკური აღზევების შემდეგ მისი სახელი ორმაგად ლეგენდარული გახდა*

## გაკოტრების პირას

ნიკი ლაუდა ვენაში, 59 წლის წინ დაიბადა. ასე რომ, ზუსტად ფორმულა 1-ის ხნისაა. მამამისმა, წარმატებულმა ბიზნესმენმა, არცთუ მცირე ქონება ქაღალდის წარმოებით დააგროვა. ერთხელ ნიკიმ მშობლიური სახლი აღწერა, როგორც „22-ოთახიანი დიდი სხვენი“. მას ბავშვობიდანვე გამოაჩნდა ტექნიკისადმი ინტერესი — ერთთავად მანქანებში იქექებოდა. საჭის ტრიალი ძალიან ადრე ისწავლა, ათი წლისას საკუთარი „ხოჭო ფოლკსვაგენი“ ჰყავდა.

ნიკლაუსმა საპირველფორმულო რბოლა პირველად 1966 წელს იხილა, როცა მამასთან ერთად, „ნიურბურგრინგზე“ გერმანიის გრან პრის დაესწრო და ნანახმა საბოლოოდ განსაზღვრა მისი მომავალი. ავტოკარიერა 1968 წელს სამთო რბოლებით დაიწყო, შემდეგ იყო სტარტი ფორმულა 3-ში.

მამა ნიკის გატაცების წინააღმდეგი იყო და ფინანსურად ხელს არ უწყობდა, თუმც მომავალ ჩემპიონს მისი ავტორიტეტი მაინც გვარიანად დაეხმარა. ცნობილი ოჯახის მაღალი საქმიანი და მატერიალური რეპუტაციის წყალობით, ლაუდა-უმცროსმა ბანკში 20 000 გირვანქა სტერლინგის კრედიტი მიიღო, საფორმულო გუნდ „მარჩში“ ადგილი რომ ეყიდა. მისი დებიუტი 1971 წლის 15 აგვისტოს სწორედ „ოსტერრაიხრინგზე“ უხეირო გამოდგა — „მარჩ ფორდმა“ მხოლოდ დისტანციის მესამედის გავლა შეძლო. ეს 22 წლის ავსტრიელისთვის იმ სეზონში ერთადერთი სტარტი იყო. მომდევნო ჩემპიონატზე მართლაც რომ კოშმარული ითქმის — 12 რბოლაში კინკილა ქულის მოპოვებაც ვერ მოახერხა.

ვალებში ჩაფლული დამწყები პილოტი კრიტიკულ ზღვართან იდგა, მაგრამ აღარც გაჩერება შეიძლებოდა, რადგან გაკოტრება და სანქციები ელოდა. ამიტომ, როცა ლუის სტენლიმ თავის BRM-ში ადგილი შესთავაზა 80 ათას გირვანქად, სამწლიანი ვადით მორიგი სესხი აიღო, ხოლო სანაცვლოდ ჩაფხუტზე იმ ბანკის რეკლამა განათავსა. შედეგი ოდნავ უკეთესი აღმოჩნდა. ბელგიაში პირველი საკარიერო ქულები მოიპოვა მეხუთე ადგილით, საერთოდ კი, 15 ეტაპიდან ცხრაჯერ ფინიშამდე ვერ მიაღწია.

ბოლიდის უხეირობის მიუხედავად, ლაუდას მაღალი პოტენციალი და ნიჭი ცხადად გამოჩნდა. როგორც იტყვიან, ყინული უკვე დაძრული იყო და „ფერარის“ ახალმა, თან ახალგაზრდა მენეჯერმა, 26 წლის ლუკა დი მონტეძემოლომ თითქმის თავის კბილა ავსტრიელი „წითელ საჯინიბოში“ მიიწვია.

## მწვანე ჯოჯოხეთი

ლაუდას 1975 წელს ვერავინ გაუწია ღირსეული მეტოქეობა. მან საწყის ოთხ ეტაპზე მხოლოდ ხუთი ქულა მოაგროვა, ხოლო შემდეგ საქმე საათივით აეწყო — ხუთიდან ოთხი გრან პრის მოგებით ვენა სხვაობით დაწინაურდა და ჩემპიონობაც ვადამდე, ტიფოზების სიგიჟემდე გასახარად „ფერარის“ ტერიტორიაზე, მონცაში გაიფორმა.

1976 წლის ჩემპიონატი ლაუდამ ისეთი შედეგიანობით დაიწყო, რომ უკვე შუა სეზონში მის მეორე ტრიუმფში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. მართლაც, შვიდ ეტაპზე ოთხი მოგებითა და სამი საპრიზო ადგილით, რაც იმხანად მანქანის ფანტასტიკური საიმედოობა იყო, უმთავრეს კონკურენტ ჯეიმს ჰანტზე სამჯერ მეტი ქულა(!) ჰქონდა და იმ საბედისწერო რბოლის წინ 35-ით უსწრებდა. გიგანტური პასივის ამოქაჩვა წარმოუდგენელი ჩანდა, მაგრამ...

დასავლეთ გერმანიაში აიფელის მთების ტყიან მასივში გაყვანილი „ნიურბურგრინგი“ იყო უგრძესი, ურთულესი და არანორმალურად საშიში 28-კილომეტრიანი წრე.

რას არ ეძახდნენ ამ უნიკალურ ტრეკს — „ჩრდილოეთის მარყუჟი“, „სიკვდილის გზა“, „პილოტების მკვლელი“, ხოლო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ჯეკი სტიუარტმა აღმართ-დაღმართიან და უამრავ მოსახვევიან საწვალებელს „მწვანე ჯოჯოხეთი“ შეარქვა. მართლაც, საპირველფორმულო რბოლებისთვის 5,5 კილომეტრით შემოკლებული ტრასა ყველაზე ტრაგიკული იყო, იქ ხუთი მძღოლია დაღუპული: არგენტინელი ონოფრე მარიმონი (1954), ინგლისელი პიტერ კოლინსი (1958), ჰოლანდიელი კარელ დე ბოფორი (1964), ინგლისელი ჯონ ტეილორი (1966) და გერმანელი გერჰარდ მიტერი (1969).

1976 წლის პირველ აგვისტოს ამ შავ სიას კინაღამ ლაუდას გვარიც მიემატა. რბოლის მეორე წრეზე, ნაწვიმარი გზის სწორ მონაკვეთზე ავსტრიელის „ფერარი“ მოულოდნელად, მკვეთრად მარჯვნივ წავიდა (ვარაუდით, წინა დაკიდულობა გატყდა), ბარიერს საშინელი ძალით მიეხეთქა და უკან გამოტყორცნილსა და ტრასაზე დაბზრიალებულს ცეცხლი გაუჩნდა. ალმოდებულ მანქანას ორი ბოლიდი შეასკდა, თუმც ბედად, ავსტრიელი ჰარალდ ერტლი და ამერიკელი ბრეტ ლანგერი არ დაშავებულან, მანქანებიდან გადმოხტნენ და დასახმარებლად გაიქცნენ. იქვე გაჩნდნენ იტალიელი არტურო მერცარიო, ინგლისელი გაი ედვარდსი და ოთხივემ ცეცხლმაქრობით სცადა ხანძრის ჩაქრობა. ნიკი ჯერ კიდევ გრძნობაზე იყო, მაგრამ შოკირებული კოკპიტში გაუნძრევლად იჯდა. დარტყმისგან ჩაფხუტი მოეხადა და თითქმის დამდნარი, გვერდით ეგდო. მერცარიო ცეცხლს არ შეუშინდა და საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, ძლივს მოახერხა ჩირაღდნად ქცეული „ფერარიდან“ კოლეგის გადმოყვანა.

## მკვდრეთით აღმდგარი

ლაუდა მანჰეიმის დამწვრობის ცენტრში გააქანეს. იგი კომაში ჩავარდა, რაც ოთხი დღე გაგრძელდა, ექიმებს მისი გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ. პალატაში მღვდელიც კი მიუყვანეს უკანასკნელი ზიარებისთვის. ტოქსიკური აირებისა და ალისგან ლამის ჩამწვარი ფილტვების ნაცვლად, ორგანიზმს ჰაერს ხელოვნური სუნთქვის აპარატი აწვდიდა, კანის თითქმის მესამედი, განსაკუთრებით თავი და ხელები დამწვარი ჰქონდა, ცეცხლმა მარჯვენა თვალიც დაუზიანა, ყურისგან კი თითქმის აღარაფერი დარჩა. დაშავებული მთელი კვირა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იყო, მერვე დღეს კი სასწაული მოხდა — კრიტიკული მდგომარეობიდან გამოვიდა, გონზეც მოვიდა და დამოუკიდებლად სუნთქვაც დაიწყო. ნიკი ორი კვირის შემდეგ ისე მოკეთდა, რომ შესაძლებელი გახდა კანის გადანერგვის ოპერაცია, რაც არაერთხელ შესრულდა.

ასეთი მართლაცდა ჯოჯოხეთის შემდეგ, ალბათ, არც ერთი მძღოლი მანქანისკენ აღარც გაიხედავდა, ნიკი კი, სწორედ რომ მკვდრეთით აღმდგარი, უმოკლეს ხანში ტრასაზე დაბრუნდა. ეს 41 დღის მერე მონცაში, იტალიის გრან პრიზე მოხდა. მისი გამოჩენით ყველანი, მაყურებლებიც და კოლეგებიც შოკირებულები იყვნენ. როგორც შემდეგ აღიარა, კოკპიტში ჩაჯდომისას შიშისგან კინაღამ გრძნობა დაკარგეო. დაბრუნება წარმოუდგენლად წარმატებული გამოვიდა — მეხუთე დრო კვალიფიკაციაში და მეოთხე ადგილი რბოლის ფინიშზე.

მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ გარეგნულად ჩანდა ნორმალური. ნიკის ტკივილები აწუხებდა, თავიდან და ხელებიდან მოხსნილი დოლბანდები სისხლით იყო გაჟღენთილი, თვალს ვერ ახამხამებდა, სითხე უგროვდებოდა და ძალიან ცუდად ხედავდა.

ჰანტი მონცაზე დასაწყისში ტრასიდან გავარდა და უქულოდ დარჩა, თუმც მანამდე, ლაუდას არყოფნაში ორი დიდი პრიზი მოიგო, ორიც იტალიის შემდგომ და დასკვნითი, იაპონური ეტაპის წინ ლაუდას ვეება უპირატესობა სულ რაღაც სამ ქულამდე გაილია, მაგრამ ერთი რბოლისთვის ესეც არცთუ მცირე ფორა იყო. „ფუჯის“ ავტოდრომზე ჯირითს თავსხმა დაერთო, რაც ინგლისელისთვის ციდან ჩამოგდებული საბედო საჩუქარი გახდა. ლაუდამ სველ და საშიშ ტრასაზე რბოლა უაზრობად ჩათვალა და ორი წრის შემდეგ მანქანა ბოქსში გააჩერა: „ჩემი სიცოცხლე ნებისმიერ ტიტულზე ძვირფასია.“ ჰანტს გვირგვინისკენ გზა მაქსიმალურად გაუიოლდა და ბრძოლა ზუსტად იმ მესამე პოზიციაზე დაასრულა, რომელიც ტიტულისთვის ყოფნიდა — კონკურენტს გენერალურ კლასიფიკაციაში ერთი ქულით აჯობა.

## კიდევ ორი ტრიუმფი

1997 წელს ლაუდამ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია. მთელი სეზონი ისეთი აღმაფრენით ჩაატარა, თითქოს ის „მწვანე“ კოშმარი არც ყოფილიყო — 14 რბოლაში სამი მოგებით, ათი პოდიუმითა და 72 ქულით, ფინიშამდე ორი ეტაპით ადრე გაინაღდა მეორე გვირგვინი, როცა უახლოეს „მდევარს“, სამხრეთაფრიკელ ჯოდი შექტერს 26 ქულით უსწრებდა.

დეკემბერში ლაუდა 1977 წლის მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. ეს მეორე შემთხვევა იყო, როცა ყველა სახეობის წარმომადგენელთა შორის პრიორიტეტი ავტორბოლის მიანიჭეს. მანამდე ეს პატივი მხოლოდ შოტლანდიელ ჯეკი სტიუარტს ერგო 1973 წელს მესამე საჩემპიონო ტიტულის მოპოვების შედეგად.

მომდევნო ორი სეზონი ლაუდამ საშუალო ძალის „ბრებემში“ გაატარა (შესაბამისად მე-4 და მე-14 ადგილები) და ფორმულა მიატოვა.

1979 წელს ნიკიმ ავიაკომპანია „ლაუდა ეირ“ შექმნა. თავიდან საქმე შესანიშნავად წავიდა. მხოლოდ ავსტრიაში კი არა, მთელ დუნიაზე უზომოდ პოპულარული, უკვე პირდაპირი მნიშვნელობითაც — პილოტის — რეისებს მგზავრი არ აკლდა, თანაც ბორტზე მომსახურება და კვება უმაღლესი კატეგორიისა იყო. რაც მთავარია, მფრინავის ლიცენზიის მქონე მეფორმულე ხშირად იჯდა შტურვალთან და ჰაერში ყოველ მგზავრს სახსოვრად თავის ავტოგრაფიან ფოტოს აძლევდა. ესეც დამატებითი რეკლამა!

ნიკიმ უფორმულოდ მხოლოდ ორი წელი გაძლო და როცა „მაკლარენის“ შეფმა რონ დენისმა თავის გუნდში ადგილი შესთავაზა, უყოყმანოდ დათანხმდა.

1984 წელს, „მაკებთან“ მესამე სეზონში, ხუთი მოგებითა და ცხრა პოდიუმით, ნატანჯმა, მაგრამ შეუპოვარმა ავსტრიელმა შვიდწლიანი ინტერვალის შემდეგ მესამედ მოირგო „სამეფო“ გვირგვინი და... ისევ გაუნელდა მოტივაცია.

## დიდი ავიაცია

ნიკი დიდ ავიაციას დაუბრუნდა, მაგრამ აერობიზნესშიც პრობლემებმა იჩინა თავი, „ლაუდა ეირი“ გაკოტრების პირას იდგა, თანაც კრიზისი 1991 წელს ტაილანდში კომპანიის „ბოინგის“ კატასტროფამ გაამწვავა, როცა თვითმფრინავში მყოფი 213 მგზავრი და ეკიპაჟის ათივე წევრი დაიღუპა. ტრაგედიის შემდეგ შემოსავალი მკვეთრად დაეცა და აქციონერებთან უთანხმოებისა და ფინანსური პრობლემების მიზეზით ნიკი იძულებული გახდა „ლაუდა ეირის“ ხელმძღვანელის პოსტი დაეტოვებინა.

კონფლიქტი არც ოჯახურ ფრონტზე ასცდა. მეუღლემ, მომხიბვლელმა მარლენმა მიატოვა და ჩემპიონი ეულად დარჩა, რადგან შვილები — მატიასი და ლუკასი იმ დროს ესპანეთის კოლეჯში სწავლობდნენ.

ლაუდა ერთხანს „ფერარის“ კონსულტანტად მუშაობდა, შემდეგ „იაგუარის“ შეფის პოსტი დაიკავა, თუმც ორივე თანამდებობის დატოვება მოუხდა. მცირე დროით ჟურნალ „F1 მეგეზინს“ რედაქტორობდა, დაწერა ოთხი მშვენიერი წიგნი ავტოსპორტზე.

ამჟამად ისევ ავიაციაშია, ახალი და ფინანსურად წელგამართული კომპანია „ნიკის“ მფლობელია და ხანდახან ისევ თვითონაც ჯდება შტურვალთან. მეორე ცოლთან ერთად ვენაში ცხოვრობს. ორივე ვაჟიშვილმა მრბოლობა მოინდომა და „ფორმულა ნისანით“ დაიწყეს. ლუკასმა მალე მიატოვა, მატიასი კი მართალია, მთავარ ფორმულაზე ოცნებობს, მაგრამ ჯერჯერობით დაბალ კლასებში უწევს ჯახირი.

სამიოდე წლის წინ, „იაგუარიდან“ წამოსვლის შემდეგ ნიკი ლაუდას საბანკო ანგარიშზე 35 მილიონი დოლარი იყო. ასე რომ, მულტიმილიონერ მულტიჩემპიონს უზრუნველი სიბერე განაღდებული აქვს.

**გია ახალაძე**

# შარაპოვამ ტრავმა იპოვა



გასილაქებას და ესპანელთან კარს მომდგარი დაპირისპირების წინ საეჭვოა, თავისთვის რაიმე საიმედო დაენახა.

მოიგო ნოვაკ ჯოკოვიჩმაც, თუმც სერბი აშკარად შორს არის საუკეთესო ფორმიდან. ეს წინა კვირას ტორონტოშიც გამოჩნდა და ახლაცა, რომ ბალკანელს ბასრი ხელი დაუბლაგვდა. სიმონე ბოლელი ორივე სეტში თანაბრად ებრძოლა მსოფლიოს მესამე ჩოგანს და ნოვაკსაც ორჯერვე ტაიბრეიკზე მოუწია ჯახირი.

პირველი სერიოზული სენსაციაც ვიხილეთ, როცა მეხუთე ნომრად განთესილი დავიდ ფერერი ჰარდზე თამაშის მოძულე ნიკოლას ლაპენტისგან მიიჩოგნა. არც რიშარ გასკეს უკბილო თამაშს ელოდა ვინმე, მაგრამ ამ ახალგაზრდა ფრანგისთვის სტაბილურობა ჯერ არავის დაუბრალებია და მასაც ხშირად მოსდის ასეთი კონფუზები. ამჯერად მისთვის ავი ბედისწერის როლი დმიტრი ტურსუნოვმა ითამაშა.

უიმბლდონის შემდეგ პირველად ვიხილეთ კორტზე ქალთა ჩოგბურთის ლამაზმანები — ანა ივანოვიჩი და მარია შარაპოვა. ინგლისიდან ნაადრევად დათხოვილ მეჩოგნეებს გუშინ აშკარად ეტყობოდათ დიდი ხნის უთამაშებლობა და ამიტომ ორივეს ღრჭიალი გაუდიოდა. სწორედ ამის გამოა, რომ ერთმაც და მეორემაც გვარიანად იწვალეს და მხოლოდ სამ სეტიან ჯახებში დააჩოქეს რანგით გაცილებით დაბლა მდგომი მეტოქეები.

ივანოვიჩს მეტოქედ პეტრა კვიტოვა ჰყავდა. სერბმა თავიდან კარგად კი დაიწყო, მაგრამ მეორე სეტში ხელი აუკანკალდა და ჩეხს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. თუმც კლასმა მაინც თავისი ქნა — ანა მესამე წრეშია.

„რა თქმა უნდა, საუკეთესოდ არ მითამაშია. კარგად ვიცოდი, ამდენი ხნით უქმობას ისე რომ არ ჩაივლიდა. მაგრამ მოგება მოგებაა და მთავარია, რომ ბრძოლას ვაგრძელებ. მაღალი დონის ჩოგბურთელის თვისება ხომ სწორედ ესაა — შეიძლება, კარგად ვერ ითამაშო, მაგრამ გამარჯვებისკენ სხვა გზა უნდა გამონახო. ჰოდა, დღეს სწორედ ეს გავაკეთე" — თითქოსდა თავს იმართლებდა ივანოვიჩი.

აი, შარაპოვამ კი ნამდვილი ომი გადაიტანა მარტა დომაჩოვკასთან და პოლონელის დამარცხებას თითქმის სამი საათი შეალია. თუმც მაშას ამის მიზეზიც ჰქონდა — რუს პრიმას გაუმიზეზდა მხრის ქრონიკული ტრავმა, რომელიც თითქმის ერთი წელი არ აწუხებდა. ხოლო რადგანც პეკინის ოლიმპიადის დაწყებამდე ორიოდ დღე დარჩენილა, მაშამ თავის დაზღვევა გადაწყვიტა და მონრეალში თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა.

„არ მინდა, ტრავმა გავიმიზეზო. ადრე დროულად არ მივხედე და მაგრად დამტანჯა. ახლა იგივე შეცდომას აღარ დავუშვებ და ექიმების გადაწყვეტილებას დაველოდები, რომ აზიაში წასვლამდე ჯანზე მოსვლა მოვასწრო."

დევნა გრძელდება. რაფაელ ნადალი გამალებით მისდევს როჯერ ფედერერს და მის ტახტს სულ უფრო უახლოვდება. ესპანელი დიად ალპელს ამ კვირაში ალბათ მაინც ვერ დაეწევა — თვითონ კი ხელეწიფება ცინცინატიში ჩემპიონობა, მხოლოდ საეჭვოა, რომ ფედერერმა ნახევარფინალს ვერ უწიოს — მაგრამ ეს მალიორკელს ხელს არ უშლის თავისი საუკეთესო თამაში აჩვენოს. რაფას რაკეტის სისწრაფე აქვს აკრეფილი და მეტოქეებს ერთმანეთის მიყოლებით აღულაბებს — ზედიზედ 30-ე მატჩი მოიგო და ყოველ ახალ შეხვედრაში სულ უფრო ფანტასტიკურ თამაშს აჩვენებს.

გუშინ კი ესპანელმა მართლაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, როცა ფლორენ სერასგან ქვა ქვაზე არ დატოვა. ძნელი სათქმელია რამ გაამწარა ასე ნადალი, მაგრამ მეტოქეს ისეთი ალიყური აჭამა, რომ საცოდავ სერას კარგა ხნით დაეკარგება კორტზე გასვლის სურვილი. ესპანელმა თავიდანვე უმაღლესი სიჩქარეები ჩართო და პირველი სეტი ისე მალე მოიგო, რომ სერას ალბათ გახურების საშუალებაც არ ჰქონია. მეორე პარტიაშიც ეგრე იყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ესპანელმა ცოტა ნამუსი იქონია და სერას კინკილა გეიმი მაინც უწყალობა.

„ძალიან გადატვირთული გრაფიკის პირობებში ასეთი სწრაფი გამარჯვებები აუცილებელია, რომ დასვენება მოასწრო" — განმარტა ნამატჩევს ნადალმა.

მესამე წრეში ესპანელს ტომი ჰაასთან მოუწევს შეხვედრა, რომელმაც თავის მხრივაც მალე მოათავა საქმე — გაელ მონფილზს 5:1-ს უგებდა, როცა ფრანგმა ტრავმის გამო თამაშის გაგრძელებაზე ცივი უარი განაცხადა. ჰოდა, ეტყობა, გერმანელმაც დრო იხელთა და თავისი მომავალი მეტოქის თამაშის უშუალოდ კორტზე ხილვა განიზრახა. ჰაასი ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს ნადალის მიერ სერას

**ბაჩა ლომჯუშვილი**

### კაცები

მასტერსი. ცინცინატი. აშშ
ჰარდი საპრიზო 2 615 000 $

### მეორე წრე

**რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) 6:0 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — სიმონე ბოლელი (იტალია) 7:6 7:6; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — დავიდ ფერერი (5, ესპანეთი) 7:6 3:6 6:3; **ჯეიმს ბლეიკი** (7, აშშ) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:4 6:3; **ენდი მიური** (8, ბრიტანეთი) — სემ ქუერეი (აშშ) 7:6 6:1; **ფერნანდო ვერდასკო** (10, ესპანეთი) — კრის გუჩიონე (ავსტრალია) 7:6 7:6; **დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — რიშარ გასკე (11, საფრანგეთი) 7:6 6:0; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — გაელ მონფილზი (საფრანგეთი) 5:1 (უარი); **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — ჯონ აიზნერი (აშშ) 3:6 7:6 7:5; **ანდრეას სეპი** (იტალია) — ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) 5:7 7:5 7:5; **ერნესტ გულბისი** (ლატვია) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:4 3:6 7:6

### ქალები

მონრეალი. კანადა. ჰარდი
საპრიზო 1 340 000 $

### მეორე წრე

**ანა ივანოვიჩი** (1, სერბეთი) — პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი) 6:3 4:6 6:3; **ელენა იანკოვიჩი** (2, სერბეთი) — ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადა) 6:0 6:4; **მარია შარაპოვა** (3, რუსეთი) — მარტა დომაჩოვსკა (პოლონეთი) 7:5 5:7 6:2; **ანა ჩაკვეტაძე** (6, რუსეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:2 7:5; **დინარა საფინა** (7, რუსეთი) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 6:2 6:4; **პატი შნიდერი** (9, შვეიცარია) — მონიკა ნიკულესკუ (რუმინეთი) 6:1 7:5; **მარიონ ბარტოლი** (10, საფრანგეთი) — ალიას კლეიბანოვა (რუსეთი) უარი; **ვიქტორია აზარენკა** (11, ბელარუსი) — სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:2 6:2; **ნადია პეტროვა** (12, რუსეთი) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:3 6:2; **სტეფანი დუბუა** (კანადა) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:2 2:6 7:6; **მიშელ ლარშერ დე ბრიტო** (პორტუგალია) — ფლავია პენეტა (15, იტალია) 6:3 0:6 6:3; **ტამირა პაშეკი** (ავსტრია) — მელინდა ცინკი (უნგრეთი) 6:4 7:5; **აი სუგიამა** (იაპონია) — შაჰარ პირი (ისრაელი) 6:2 6:2

### ქალები

პორტოროზი. სლოვენია. ჰარდი
საპრიზო 145 000 $

### პირველი წრე

**სანია მირზა** (6, ინდოეთი) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 6:3 6:2

### მეორე წრე

**აგნეშკა რადვანსკა** (1, პოლონეთი) — მარია კორიცევა (უკრაინა) 6:1 6:1; **ვერა დუშევინა** (რუსეთი) — აგნეს სზავაი (2, უნგრეთი) 6:4 7:6; **კატარინა სრებოტნიკი** (3, სლოვენია) — ანასტასია პავლუჩენკოვა (რუსეთი) 6:3 6:4





ბენ გორდონს თვალი სხვაგან გაურბის, ლუოლ დენგი კი „ჩიკაგოში" რჩება

საზაფხულო მიდი-მოდი

# თითო მილიონი თითო ქულაში

**ნბა**-ს თავისუფალ აგენტთა ბაზარზე დღითი-დღე მცირდება ხარისხიანი „საქონელი". ორი დღის წინ კიდევ ორმა მაღალანაზღაურებადმა კალათბურთელმა განაახლა ძველ გუნდთან ხელშეკრულება — ლუოლ დენგი 6 წლით დარჩა „ჩიკაგო ბულზში" და ემეკა ოკაფორმაც ამავე პერიოდით ისურვა „შარლოტ ბობქეთსში" თამაში. ორივენი 2004 წლის დრაფტის რჩეულები არიან და ორივეს ოთხი პროფესიული წელი უმაგრებს ავტორიტეტს, რაც თავის მხრივ ბლომად მილიონი ღირს.

„ჩიკაგოს" თავისი საუკეთესო მოთამაშის 6 წლით დატოვება არც მეტი არც ნაკლები 80 მილიონი დაუჯდა. მიუხედავად იმისა, რომ სუდანელ ფორვარდს ბოლო წელს ციდან ვარსკვლავები არ უკრეფია, პირიქით, ყველა სპორტულ მახასიათებელში მცირე რეგრესი ჰქონდა, მისმა გუნდმა მაინც ყველა ღონე იხმარა დენგის შესანარჩუნებლად. „ხარების" ხელმძღვანელებმა მას თავდაპირველად 5 წელიწადში 57 მილიონი შეაძლიეს, მაგრამ დენგმა ცხვირი აიბზუა და მისი გუნდის შეფებს ჯიბეში ხელის უფრო ღრმად ჩაყოფა მოუხდათ.

დენგის პრობლემა კი მოაგვარა, მაგრამ „ჩიკაგოს" გენ-მენეჯერ ჯიმ პაქსონი ჯერ ვერ მისცემს თავს მშვიდად დაძინების ნებას, რაკიღა კიდევ ერთი თავისუფალი აგენტი ჰყავს დასაყოლიებელი. დენგის კბილამ, ასევე ოთხწლიანმა ვარსკვლავმა ბენ გორდონმა უარი თქვა 5 წელიწადში 50 მილიონზე, ალბათ ხვდება, რომ „ხარების" საერთო სალაროდან მეტის ამოხაპვა შეუძლია და პაქსონი ამ საკითხზე იტეხს თავს. გორდონის გაშვება არ სურს, რადგან წლების განმავლობაში დრაფტებზე მაღალი ნომრებით აყვანილი ნიჭიერი მოთამაშეებისგან ძლივს დააკომპლექტა ასე თუ ისე კონკურენტუნარიანი გუნდი, რომელიც ბოლო სეზონში გვარიანად ჩაფლავდა და დაშლის პირასაც კი მივიდა.

„შარლოტს" ემეკა ოკაფორის ექვსი წლით შენარჩუნება 72 მილიონი დაუჯდა. 211-სანტიმეტრიანი ოკაფორი „ფოცხვერების" საუკეთესო მეფარედ ითვლება, განვლილ რეგულარულ ჩემპიონატში ის საშუალოდ 13,8 ქულას, 10,7 მოხსნასა და 1,7 დაფარებას იხვეჭდა. „შარლოტში" გატარებულ ოთხივე სეზონში მისი მონაგარი სცილდებოდა 10 ქულასა და 10 მოხსნას, ასე რომ გუნდს მისთვის თითოთითო ქულა-მოხსნაში დაახლოებით თითო მილიონის გადახდა მოუხდა.

შეტევაში არცთუ შედეგიანი თამაშის მიუხედავად ოკაფორზე მაღალი წარმოდგენისა ყოფილა „შარლოტის" ახალი დამრიგებელი ლარი ბრაუნი. ლეგენდარული მწვრთნელი ნბა-ში თავის მეცხრე გუნდში ახლა იწყებს მუშაობას და ცხადია, არ სურს, „ფოცხვერები" შეთხელებული შემადგენლობით გაიყვანოს მოედანზე.

გუნდის გაძლიერებას აგრძელებს „კლიპერსის" მთავარმმართებელი ელჯინ ბეილორი, ვინაც ორი ვარსკვლავის — ელტონ ბრენდისა (წავიდა „ფილადელფიაში") და კორი მაგეტის (წავიდა „გოლდენ სტეიტში") დაკარგვის შემდეგ ასე თუ ისე შეძლო შემადგენლობის გასუქება. ბაირონ დევისისა და მარკურ კემბის შემატების შემდეგ ბეილორმა რიკი დევისი და ჯეისონ ჰარტიც მიიწვია. რიკი დევისი ახალ გუნდში ბაქიბუქით მივიდა — მე და ჩემი მოგვარე ბაირონი საუკეთესო უკანა ხაზს შევქმნით, ისეთი მშივრები ვართ, ყველას გადავსანსლავთო. ოღონდ ეს ტრაბახა სულაც სათადარიგოებში გაამწესონ, რაკი მის ამპლუაში „კლიპერსს" კუტინო მობლი უკაშკაშებს და კიდევ დრაფტზე აყვანილი ნიჭიერი მსროლელი ერიკ გორდონიც მოეძევება.

ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ" ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" გაქცეული საუკეთესო სათადარიგოს ჯოშ ჩილდრესის შეცვლაზე იზრუნა და „ორლანდოს" თავისუფალი აგენტი მორის ევანსი მიიწვია, რომელიც თუ კარგად თამაშობს, 10 ქულად ღირს, ხოლო თუ თამაში არ წაუვიდა ერთ მოხსნადაც ვერ ღირს. ამ გუნდმა ასევე აიყვანა ატლანტაში დაბადებულ-გაზრდილი, თუმც ნბა-ში ორი წელი ნაწვალები ცენტრი რენდოლფ მორისი, ვინაც შემადგენლობის შესავსებად და აგრეთვე ვარჯიშებზე მაღალი მოთამაშეების სპარინგად თუ გამოადგება.

**ვანო ბობიაშვილი**

# გოლი კი გაგვაქვს, მაგრამ ხეირი არ გვაქვს

**უცხოეთში** მოთამაშე ქართველმა ფეხბურთელებმა წუხელ ჩატარებულ უეფას თასის მატჩებში ორი გოლი გაიტანეს: რომან ახალკაცმა სერბულ „ვოივოდინას“ გაუტანა და 90 წუთი ასე რომ დამთავრებულიყო, თამაში დამატებით დროში გადადიოდა, მაგრამ 86-ეზე სერბებმა გაათანაბრეს და აზერბაიჯანული „ოლიმპიკიც“ გათამაშებას გამოეთიშა.

მეორე ქართული გოლი კი ლევან კორღალიძემ შეაგდო მატჩის მე-3 წუთზე. ამ გოლს კორღალიძის „დაჩია“ მომდევნო ეტაპზე გაჰყავდა, მაგრამ მოლდოვური კლუბის დაცვამ ველარ ივარგა და სერბულმა „ბორაცმა“ სამი გოლი იქით გაუტანა.

ამგვარად, გუშინ ქართული გოლები არაფრის მომტანი გამოდგა და რაც ყველაზე სამწუხაროა, ამ გოლებს ზესტაფონელი ბექა გოცირიძის გოლიც უნდა მივამატოთ...

სხვა კი რა — რომ ვთქვათ, სადმე რაღაც განსაკუთრებული სენსაცია მოხდაო, ტყუილი გამოგვივა. ფაქტობრივად, ერთადერთი თამაში, რომლის ბედიც თითქმის ბოლომდე გაურკვეველი იყო, აპოელ — „პელისტერი“ გახლდათ, რომელიც კვიპროსელებმა ბოლო წუთებზე გატანილი გოლით მოიგეს და იმ გოლით მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზეც გავიდნენ.

სტუმრად გაშვებული სამი გოლის ამოქაჩვასთან ახლოს იყო ისლანდიური „აკრანესი“, მაგრამ ბოლოს მაინც გატყდა.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტიც: ამდენი მატჩი ჩატარდა და დამატებითი დრო თუ პენალტების სერია არსად გამხდარა საჭირო.

**კოტე კეკელია**

# უეფას თასი 2008-09

## I საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ოლიმპიკი (აზერბაიჯანი) 1:1 *ვოივოდინა* (სერბეთი) (0:1)
1:0 ახალკაცი (50), 1:1 დურიჩი (86)

ბანანცი (სომხეთი) 0:3 *ზალცბურგი* (ავსტრია) (0:7)
0:1 ნილისი (55), 0:2 ილიჩი (61), 0:3 ობსტერი (68)

*ბორაცი* (სერბეთი) 3:1 დაჩია (მოლდოვა) (1:1)
0:1 კორღალიძე (3), 1:1 ლაზოვიჩი (17), 2:1 კოჩიჩი (57), 3:1 გრკაჯაჩი (84)

მილანო კუმანოვო (მაკედონია) 1:2 *ომონია* (კვიპროსი) (0:2)
1:0 სტატოვსკი (18), 1:1 დემეტრისი (77), 1:2 ა. კაფუ (85)

*მეტალურგსი* (ლატვია) 2:0 გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) (1:1)
1:0, 2:0 კარლსონსი (36, 86)

მოგრენი (ჩერნოგორია) 0:3 *ჰ. კირიათ შმონა* (ისრაელი) (1:1)
0:1 ნუსბაუმი (30), 0:2 პერეცი (53), 0:3 ზარფატი (68)

ფლორა (ესტონეთი) 2:2 *იურგორდენი* (შვედეთი) (0:0)
0:1 ნაზარი (25), 0:2 ასარე (55), 1:2, 2:2 პოსტი (82, 84)

*ვიკინგი* (ნორვეგია) 2:0 ვეტრა (ლიტვა) (0:1)
1:0, 2:0 სტოკჰოლმი (3, 33)

ნისტრუ (მოლდოვა) 0:0 *ჰერტა* (გერმანია) (1:8)

გომელი (ბელარუსი) 1:4 *ლეხია* (პოლონეთი) (0:0)
1:0 ბრესანი (20), 1:1 ივანსკი (25პ), 1:2 ჟალახოვსკი (52), 1:3 ივანსკი (61), 1:4 ჟალახოვსკი (66)

*ჰაკა* (ფინეთი) 4:0 კორკ სიტი (ირლანდია) (2:2)
1:0 მაჰლაკაარტო (10), 2:0 პოპოვიცი (15), 3:0 მანინენი (69), 4:0 მინკენენი (82)

ბირკირკარა (მალტა) 0:3 *ჰაიდუკი* (ხორვატია) (0:4)
0:1 სტრინიჩი (4), 0:2 ბარტოლოვიჩი (45), 0:3 იბრიჩიჩი (90)

*აპოელი* (კვიპროსი) 1:0 პელისტერი (მაკედონია) (0:0)
1:0 მიქაელი (83)

*კალმარი* (შვედეთი) 7:1 უნიონი (ლუქსემბურგი) (3:0)
1:0 ელმი (7), 2:0 ლინდბერგი (9), 3:0 ისრაელსონი (41), 4:0 დაუდა (46), 5:0 ს. ლარსონი (62), 6:0, 7:0 სობრალენსე (65, 67), 7:1 ბილონი (90)

*მიდტიულანდი* (დანია) 4:0 ბანგორ სიტი (უელსი) (6:1)
1:0, 2:0 ნვორუჰი (3, 36), 3:0 სივებოკი (56), 4:0 კოლინზი (77)

*ჟილინა* (სლოვაკეთი) 1:0 მტზ-რიპო (ბელარუსი) (2:2)
1:0 იეჟი (90)

ბ-36 ტორსჰავნი (ფარერები) 0:2 *ბრონდბიუ* (დანია) (0:1)
0:1 ვაასი (51), 0:2 ჰოლმინი (90)

ლანსანტფრეიდი (უელსი) 0:1 *სუდუვა* (ლიტვა) (0:1)
0:1 ლუკიანოვსი (85)

*დებრეცენი* (უნგრეთი) 1:0 შახტიორი (ყაზახეთი) (1:1)
1:0 რუდოლფი (38)

აკრანესი (ისლანდია) 2:1 *ჰონკა* (ფინეთი) (0:3)
1:0 მაგნუსონი (16), 2:0 სიგუდარსონი (49), 2:1 ვასარა (72)

პარტიზანი (ალბანეთი) 1:3 *შიროკი ბრიეგი* (ბოსნია) (0:0)
0:1 ალექსანდრე (10), 1:1 მუზაკა (40პ), 1:2 ალექსანდრე (45), 1:3 სილიჩი (82)

*ვლაზნია* (ალბანეთი) 0:0 კოპერი (სლოვენია) (2:1)

*კოპენჰაგენი* (დანია) 7:0 კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია) (4:0)
1:0 ალმეიდა (23), 2:0 ჟუნიორი (25), 3:0 ჰათჩინსონი (45), 4:0 იორგენსენი (46), 5:0 ნორდსტრანდი (55პ), 6:0 კრისტენსენი (57), 7:0 ჟუნიორი (60)

გრევენმახერი (ლუქსემბურგი) 1:5 *ჰაფნარფიორდური (ისლანდია)* (2:3)
0:1 გუდნასონი (13), 1:1 (28), 1:2 გუდნასონი (58), 1:3, 1:4 გუდმუნდსონი (65, 74), 1:5 სვერისონი (87)

*ბელინცონა* (შვეიცარია) 3:1 არარატი (სომხეთი) (1:0)
1:0 რივერა (22), 2:0 სერმეტერი (30), 3:0 რუ (45), 3:1 მქოიანი (54)

*სლავენი* (ხორვატია) 4:0 მარშაძსლოკი (მალტა) (4:0)
1:0 ბილენი (25), 2:0 კავალი (72), 3:0, 4:0 ვრუჩინა (74, 90)

*აუსტრია (ავსტრია)* 2:0 ტობოლი (ყაზახეთი) (0:1)
1:0 აჩიმოვიჩი (28პ), 2:0 კრამერი (51)

იუვენეს დოგანა (სან მარინო) 0:2 *ჰ. თელ ავივი (ისრაელი)* (0:3)
0:1 ანტები (5), 0:2 სანტოსი (8)

სანტა ჯულია (ანდორა) 0:5 *ჩერნო მორე (ბულგარეთი)* (0:4)
0:1, 0:2 იურუკოვი (22, 39), 0:3 მანოლოვი (41), 0:4 ტრემონტი (50ს.კ.), 0:5 ანდონოვი (64)

*ზრინსკი (ბოსნია)* 3:0 ვადუცი (ლიხტენშტაინი) (2:1)
1:0 ჯურიჩი (6), 2:0, 3:0 სუნიჩი (26, 74)

*სენტ პატრიკსი* (ირლანდია) 2:0 ოლიმპსი (ლატვია) (1:0)
1:0 ჰარისი (40), 2:0 ქიგლი (70პ)

ლეხი (პოლონეთი) 4:1 ხაზარი (აზერბაიჯანი) (1:0)
1:0 სტილიჩი (35), 1:1 რამაზანოვი (44), 2:1 მურავსკი (52), 3:1 ინიაკი (64), 4:1 რეისი (83)

*ლიუბლიანა* (სლოვენია) 1:0 ზეტა (ჩერნოგორია) (1:1)
1:0 ზაჰორა (84)

*მანჩესტერ სიტი (ინგლისი)* 2:0 სტრეიმური (ფარერები) (2:0)
1:0 პეტროვი (48), 2:0 ვასელი (90)

## ამხანაგური მატჩები

კოტ დივუარი (U23) 0:0 აშშ (U23)
კამერუნი (U23) 0:2 ჰოლანდია (U23)
მ. ჰაიფა 0:1 ბეშიქთაში
გამბა 0:1 არსენალი (ს)
ინდეპენდიენტე 0:2 სან ლორენსო
ჩიკაგო 2:0 ევერტონი
იოკოჰამა 1:1 ბოხუმი
ურავა 2:4 ბაიერნი
ტოკიო 1:0 ოლიმპია
კორეა (U23) 1:0 ავსტრალია (U23)
სიენა 2:0 ბოტევი
ჩერნომორეცი 1:1 სილვენი
ლოკომოტივი (ს) 2:0 ანკარა
რეალ უნიონი 1:1 ოსასუნა
ჩესტერი 2:3 სუონსი
ოლიმპიაკოსი 1:0 ხეტაფე

## ბრაზილია

### სერია A. XVI ტური

კრუზეირო 4:2 ნაუტიკო
ვიტორია 2:1 ატლ. პარანენსე
ბოტაფოგო 2:0 გოიასი
პორტუგეზა 3:1 ფლუმინენსე
ფიგეირენსე 1:1 სან პაულუ
ინტერნასიონალი 0:1 სანტოსი
პალმეირასი 1:0 ფლამენგო



# ქორთიარდში კამათელი ევროზე გაგორდება



**31 ივლისიდან** 5 აგვისტომდე სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ ნარდში გოგი ბუკიას სახელობის მეორე საერთაშორისო მემორიალური ტურნირი გაიმართება. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 80-მდე მონარდე გამოვა. ტურნირში მონაწილეობენ საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის იტალიის, ავსტრიის, ბულგარეთის, თურქეთის, ირანის, ისრაელის, რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საუკეთესო მოთამაშეები. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო პრესცენტრ „რია ნოვოსტში“ პრესკონფერენცია გაიმართა. მსოფლიოში დღესდღეობით ნადრის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ, ებრაელმა მატვეი ნათანზონმა, აშშ-ს წარმომადგენელმა 1984 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ნარდში მაიკ სვობოდნიმ, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობის“ პრეზიდენტმა გოდერძი ბუკიამ და 2005 წელს ნარდში მანჩესტერის ოლიმპიადის გამარჯვებულმა ნოდარ გაგუამ ისაუბრეს.

*ნოდარ გაგუა:* როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში ნარდში საერთაშორისო ტურნირი უკვე მეორედ ტარდება. შარშან ტურნირის გეოგრაფია ვიწრო მასშტაბის იყო, მაგრამ წელს მრავალი ქვეყნის საუკეთესო მოთამაშეები მოვიწვიეთ და ისინიც დაგვთანხმდნენ. შეჯიბრება როგორც ერთეულებს, ასევე გუნდებს შორისაც გაიმართება. ამ ტურნირზე მონაწილეობა ნებისმიერი მსურველს შეუძლია, კაცსაც და ქალსაც, მაგრამ აქ ერთი პირობაა. თამაშის მსურველები წარსულში ამ სპორტთან დაკავშირებით რაიმე სახის თაღლითობაში შემჩნეულნი არ უნდა იყვნენ. ვინც შესაბამის შესარჩევ ეტაპებს გაივლის და ოსტატებთან პაექრობას ისურვებს, 1000 ევრო შესატანის სახით უნდა გადაიხადოს. საშუალო დონის მენარდეებისთვის თანხა 230 ევროთი განისაზღვრება.

*გოდერძი ბუკია:* მინდა, გითხრათ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ნარდში მსოფლიოს ფედერაციის ეგიდით საერთაშორისო ტურნირი მხოლოდ საქართველოში ტარდება. ჩვენთან სტუმრადაა ფედერაციის თავმჯდომარე ჩივა ტაფაზოლიც, აღსანიშნავია, რომ თბილისური ტურნირი ტრადიციული გახდება. იგი ერთ-ერთი უპრესტიჟულესი იქნება ნარდში არსებულ ტურნირებს შორის.

*მატვეი ნათანზონი:* მოხარული ვარ საქართველოში ყოფნით. ეს ბრწყინვალე ქვეყანაა, და აქ ყველა პირობაა შექმნილი კარგი ტურნირის ჩასატარებლად.

*მაიკ სვობოდნი:* საქართველოში უკვე მეორედ ვარ. თვითმფრინავიდან ფეხი რომ ჩამოვდგი, ვთქვი, სახლში ვარ და თავს კარგად ვგრძნობ-მეთქი. აქ მშვენიერი ატმოსფეროა და დარწმუნებული ვარ, ტურნირი მაღალ დონეზე ჩაივლის.

**ზურაბ მიზრიაული**

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია მწუხარებას გამოთქვამს ვეტერანი კალათბურთელის, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონისა და მრავალგზის პრიზიორის, საბჭოთა კავშირის თასის ორგზის მფლობელის
**ჯუმბერ ნიჟარაძის**
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს რაგბის კავშირი თანაუგრძნობს კავშირის პრეზიდენტ გიორგი ნიჟარაძეს მამის, ვეტერანი კალათბურთელის, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონისა და მრავალგზის პრიზიორის, საბჭოთა კავშირის თასის ორგზის მფლობელის
**ჯუმბერ ნიჟარაძის**
გარდაცვალების გამო

სარბიელელები თანავუგრძნობთ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ გიორგი ნიჟარაძეს მამის, ვეტერანი კალათბურთელის, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონის და თასის ორგზის მფლობელის
**ჯუმბერ ნიჟარაძის**
გარდაცვალების გამო


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge